წლიან შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№49-50 (10 008)

31 დეკემბერი - 8 იანვარი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

მ ე გ ო ბ რ ე ბ ო, გილოცავთ ახალ 2022 წელს! საკრებულოს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს პოზიციიდან უკვე მესამედ მიწევს ახალი წლის მილოცვა, რაც ჩვენი ერთად დგომის დამსახურებაა. მადლობა ამ თანადგომისთვის გ პ ი რ დ ე ბ ი თ, იმედებს ამჯერადაც გაგიმართლებთ, რადგან ჩვენ ვართ ის ძალა, რომელმაც ძირეულად სასიკეთოდ შეცვალა დედოფლისწყაროელთა პირობები. ცვლილებებისა და აღმშენებლობის პროცესი გაგრძელდება და ხვალინდელი დედოფლისწყარო იქნება კიდევ უფრო უკეთესი. კაცობრიობის მთავარ გამოწვევად, სამწუხაროდ, კვლავ პანდემია რჩება. კორონავირუსმა არაერთი ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე შეიწირა. გასული წლისგან განსხვავებით, გვაქვს ვირუსის დამარცხების ყველაზე ეფექტური საშუალება-ვაქცინა, ამიტომაც მოგიწოდებთ, გაუფრთხილდით თქვენი და თქვენი ახლობლების სიცოცხლეს და აიცრათ,

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გამოვთქვამ იმედს, რომ დამდეგი 2022 წელი თითოეული თქვენგანისთვის იქნება სიკეთისა და ბედნიერების მომტანი.

გილოცავთ შობას და ახალ წელს, გისურვებთ, რომ ბარაქა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს. იყავით ჯანმრთელები და დიდხანს, ძალიან დიდხანს გყავდეთ ერთმანეთი. გამრავლდით და გაიხარეთ, უფლის წყალობა გქონოდეთ, ჩემო საყვარელო ხალხო.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს! უპირველესად, მადლობას გიხდით ნდობისთვის, რომელიც 2 ოქტომბრის არჩევნებში მე და ჩვენს გუნდს გამოგვიცხადეთ. თქვენი ასეთი მხარდაჭერა მაძლევს დიდ სტიმულს და იმედს, რომ ერთად დგომით ყველაფერი გამოგვივა. სტიმულის მომცემია ისიც, რომ საზოგადოება ხედავს და აღნიშნავს იმ მიღწევებსა და აღმშენებლობით პროცესს, რომელიც უკანასკნელ წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდა არაერთი მასშტაბური პროექტი. გასულ წლებთან შედარებით ჩვენი ქალაქისა და სოფლების ინფრასტრუქტურა არის გაცილებით მოწესრიგებული, გვაქვს უკეთესი საბავშვო ბაღები და სკოლები, ღირსეული სამედიცინო პირობები, სპორტული მოედნები და სხვა. ამჟამად მიმდინარეობს ყველა დედოფლისწყაროელისთვის მთავარი გამოწვევის - სასმელი წყლის პრობლემის აღმოფხვრა. სამუშაოები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება და გაისად მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. უახლოეს პერიოდში დაიწყება ოზაანის საჯარო სკოლის მშენებლობა, მომავალ წელს ასევე დაიწყება ლაშა ბექაურის სახელობის დარბაზის მშენებლობა არხილოსკალოში, კიკ ბოქსინგის დარბაზის მშენებლობა ქ. დედოფლისწყაროში, მოეწყობა სპორტული მოედნები, სკვერები, დაიწყება ასევე ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. გაგრძელდება ჩვენი პრემიერის - ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული პროექტის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, გალამაზდება ქალაქის ცენტრი, დაიწყება შინმოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაცია, გარძელდება ასევე ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა და სხვა. იცით, რომ 2022 წელი ჩვენ გამოვაცხადეთ ახალგაზრდობისა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის წლად, რასაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა ახალგაზრდა იგრძნობს. მიხარია, რომ ისინი აქტიურად არიან დაინტერესებულნი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებით და აქვთ საინტერესო მოსაზრებები. აუცილებლად დავუჭერ მხარს მათი იდეების განხორციელებას. არ დამვიწყებია არცერთი დაპირება, რომელიც ჩემს თანაგუნდელებთან ერთად მოგეცით. დღეს ქ. დედოფლისწყაროს 34 კორპუსის ეზოდან კეთილმოწყობილია მხოლოდ 10 მათგანი. უახლოეს მომავალში კი ყველა ეზოს რეაბილიტაცია დაიწყება ეტაპობრივად და ეს პრობლემაც სრულიად აღმოიფხვრება. არ შემიძლია არ შევეხო მსოფლიო პანდემიას, რომელმაც არაერთი ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის 50-ზე მეტი დედოფლისწყაროელის. რთულია, საახალწლო დღეებში ამ თემაზე საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, პანდემია ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, რომელსაც მხოლოდ ვაქცინაციით და რეგულაციების მკაცრი დაცვით დავამარცხებთ. ამიტომ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ვაქცინაციისაკენ. ავიცრათ საკუთარი და ჩვენი საყვარელი ადამიანებისთვის, ავიცრათ ერთმანეთისთვის! აქვე, დიდ მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომლებიც პანდემიის დაწყებიდან დღემდე ბრძოლის წინა ხაზზე არიან და საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ცდილობენ ადამიანთა გადარჩენას. ასევე მადლობა ჩვენს სპორტსმენებს იმ სიხარულისთვის, რომელიც 2021 ხელს მოგვანიჭეს. განსაკუთრებული მადლობა ლაშა ბექაურს, რომელმაც დედოფლისწყაროში პირველი ოლიმპიური ოქრო ჩამოიტანა. იმედი მაქვს, ეს მხოლოდ დასაწყისია და ლაშასთან ერთად სხვა ჩვენი თანამემამულე სპორტსმენებიც გაგვახარებენ ოლიმპიური წარმატებებით. დარწმუნებული ვარ, ერთად ყველაფერი გამოგვივა და ერთიანი ძალისხმევით ჩვენ ძევძლებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კიდევ უფრო განვითარებას.

გილოცავთ, ჩემო მეგობრებო, ბედნიერი შობა და ახალი წელი გაგთენებოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს. უფალი გფარავდეთ!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

»ჩვენი მიზანია, ყველა სიკეთე შეეხოს თითოეულ მოქალაქეს»...

კიდევ ერთი წელი გახდება ისტორიის კუთვნილება. კიდევ ერთი პანდემიური წელიწადი. როგორი იყო 2021 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, რა იყო მთავარი გამოწვევა და რა იყო მთავარი მიღწევა, რის გაკეთებას გეგმავს ადგილობრივი ხელისუფლება 2022 წელს, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრობს.

-მივესალმები ჩვენი გაზეთის მკითხველს. პირველ რიგში დამდეგ შობა-ახალ წელს მივულოცავ ყველას და ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხვავს, ბარაქას და განვითარებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის და რომელ გზასაც ჩვენი მუნიციპალიტეტი, ბოლო წლებია, განუხრელად ადგას.

2021 წელი, მიუხედავად ძალიან მძიმე გამოწვევებისა, რომლებიც დაკავშირებული არის პანდემიასთან, და ასევე, გარკვეულწილად, საარჩევნო ციებ-ცხელებასთან, რასაც ყოველთვის გარკვეული სირთულეები ახლავს ხოლმე თან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დადებითად შევაფასოთ. დავიწყოთ საარჩევნო წლით - ჩვენმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ, მეც და ჩვენს გუნდსაც- „ქართული ოცნების“ გუნდს გამოგვიცხადა საკმაოდ მაღალი ნდობა, ამაზე მეტყველებს თითქმის 70%-იანი მხარდაჭერა მერთან მიმართებაში და ძალიან მაღალი მხარდაჭერა საკრებულოში. მოგეხსენებათ, რომ 30 მანდატიან საკრებულოში 24 მანდატი სწორედ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს აქვთ, რისთვისაც ჩვენს მოსახლეობას მინდა, რომ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო და მივცე იმის პირობა, რომ მეც და ჩემი გუნდიც მუხლჩაუხრელად ვიშრომებთ მომდევნო წლების განმავლობაში, რათა ეს ნდობა გავამართლოთ და სიკეთეები, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავლად იქნება, აისახოს თითოეულ ჩვენს მოსახლეზე.

მთავარი გამოწვევა-წყალი

დედოფლისწყაროსთვის მთავარი პრობლემა სასმელი წყალია. ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ წყლის დებეტის გაზრდის მიზნით დაიწყო ივრიდან წყლის ამოყვანის 58 მილიონიანი პროექტი. სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია. ჩვენი გუნდის მთავარი დაპირება, დედოფლისწყაროს სასმელი წყლით მომარაგების 24-საათიანი გრაფიკი მალე რეალობად იქცევა.

ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ყველა ხედავს, რომ დაწყებულია და დასასრულს უახლოვდება დედოფლისწყაროს ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის მხოლოდ ფასადური რეაბილიტაცია. მრავალბინიან კორპუსებს ასევე უტარდება საძირკვლის გამაგრების სამუშაოები, რაც იმისი დასტურია, რომ ჩვენი გუნდი ყველა პროექტს არა ზერელედ, არამედ გულისყურით ეკიდება.

ამ პროექტის მეორე ფაზა იქნება დედოფლისწყაროს შემოსასვლელში არსებული შინმოუსვლელთა მემორიალის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც გახდება თითოეული დედოფლისწყაროელისთვის საყვარელი დასასვენებელი სივრცე.

პროგლემები,რომლებიც მოვვარდება

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მიუხედავად, ჯერ კიდევ არის საკითხები, რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. არის რამდენიმე სივრცე, რომელიც კეთილმოწყობას ითხოვს. ერთ-ერთი ასეთი ადგილია ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის უკან მდებარე ადგილი, სადაც დაგეგმილია კიკბოქსინგის სავარჯიშო დარბაზის მშენებლობა. მოგეხსენებათ, ჩვენს რაიონს სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ კარგი მიღწევები აქვს. ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ სპორტის განვითარებას და მასთან ერთად ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

აქვე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ დედოფლისწყაროსთვის ეს წელი განსაკუთრებული იყო იმითაც, რომ ჩვენი რაიონის მკვიდრი ლაშა ბექაური ოლიმპიური ოქროს მფლობელი გახდა და დედოფლისწყაროსთან ერთად მთელი ქვეყანა ასახელა. ეს გამარჯვება ლაშას მშობლიური სოფლისთვის მისი სახელობის დარბაზის მშენებლობის დასაწყისადაც იქცა. ამიერიდან დედოფლისწყაროში სპორტული ცხოვრება გაცილებით სტაბილური, ხელმისაწვდომი და წახალისებული გახდება.

ევროკავშირი,როგორც საიმედო პარტნიორი

ჩვენ დავიწყეთ ევროკავშირის დაფინანსების ათვისება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი ახალი გზისა და არსებული ტერიტორიის სრული რეაბილიტაციისთვის ევროკავშირიდან გამოიყოფა თანხა. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ კი ჩვენ გვექნება ხორნაბუჯის, იგივე თამარის ციხის განახლებული ინფრასტრუქტურა. იქ მოეწყობა საპიკნიკე, საპარკინგე ადგილები, სველი წერტილები, გადასახედები და ასე შემდეგ...

როგორც გითხარით, იდეამ უკვე გაიმარჯვა, ჩვენმა მუნიციპალიტეტმა პროექტი უკვე შეიძინა, ბოლო დეტალების შეთანხმება მიმდინარეობს. დაახლოებით 4 მილიონ ლარზეა საუბარი. ამ პროექტის გაცოცხლებით ჩვენ ახალ ტურისტულ სრულფასოვან ობიექტს მივიღებთ, რომელიც მიზიდულობის ახალი კერა გახდება დედოფლისწყაროში როგორც უცხოელი, ისე ქართველი ტურისტებისთვის. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი მოსახლეობა ახლიდან შეძლებს უნიკალური ადგილების აღმოჩენას. გარდა ამისა, სულ ახალი ინფორმაცია გვაქვს- დეკემბრის ბოლოსთვის გამართულ საკონსულტაციო საბჭოზე, რომლის ხელმძღვანელობის პატივი მხვდა წილად, კიდევ ერთი პროექტი და იდეა გავიტანეთ - ეს არის სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია. ჩვენმა მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ამ ადგილას წლებია პარკინგის პრობლემაა. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სახალხო დღესასწაულ „ფიროსმანობის“ დროს, თუმცა, პრობლემა ყოველდღიურ რეჟიმში მოსულ ტურისტებსაც ექმნებათ - არ არის ადგილი მანქანის, მიკროავტობუსის თუ ავტობუსის გასაჩერებლად. საპარკინგე სივრცის მოწყობა ხელს შეუწყობს როგორც ფიროსმანის პოპულარიზაციას და მირზაანში ტურისტების რიცხვის ზრდას, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციით აშენებული ახალი სასტუმროს სრულყოფილ ფუნქციონირებასაც. ეს იდეა და მონახაზი მილიონ 100 ათასი ლარის ღირებულებისაა. იდეა უკვე გამარჯვებულია, ვმუშაობთ, რათა შევიძინოთ პროექტი და შემდეგ დავიწყოთ მისი განხორციელება. ის ფაქტი, რომ 4 მილიონიანი და მილიონნახევრიანი პროექტები ხორციელდება, ეს დედოფლისწყაროში უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ თვისობრივად კარგი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ესაა ევროკავშირის ეგიდით დაფინანსებული და მათ სტანდარტებზე მორგებული პროექტები. შესაბამისად, ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ ყველა სხვა ალტერნატიული შესაძლებლობები გამოვიყენოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განსავითარებლად.

ბუნებრივი კატაკლიზმები და ტბის საკითხი...

„ქოჩების ტბა“, რომელიც ერთ დროს დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათი იყო, დღეს დაშრობის პირასაა. მოსახლეობის ინტერესი მის მიმართ მზარდია. ბოლო დროს ტბაში წყლის დონემ მოიმატა. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელში.

ბუნებრივია, სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოებიც ვნახე, მაგრამ მე მხოლოდ მასზე დამოკიდებული არ ვარ, კვირაში რამდენჯერმე მიწევს ხოლმე ქედების მიმართულებით მგზავრობა, პირადად ვაკვირდები ქოჩების ტბას, სადაც წყლის დონემ მართლაც მოიმატა. თქვენ იცით, რომ ჩვენ გვქონდა ძალიან დიდი და კარგი გეგმები ტბის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. 2014 წელს, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად პროექტიც შევიძინეთ, რომელიც დაახლოებით 5 მი

/გაგრძელება მე-2 გვერდზე/

C M Y K

„ჩვენი მიზანია, ყველა სიკეთე შეეხოს თითოეულ მოქალაქეს...“



/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

ლიონის დახარჯვას და ტბის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობდა: იგეგმებოდა პლაჟის, გასართობი ატრაქციონების, სავარჯიშო მოედნების მოწყობა და ა. შ. მაგრამ ტბამ დაიწყო დაშრობა. ახლა მართლაც შესამჩნევად იმატებს წყლის დონე. იცის ყველამ, რომ ტბამ საკმაოდ სწრაფი ტემპით დაიწყო კლება, და ბოლო 6 წელიწადში, ფაქტობრივად, გაქრობის პირას მივიდა. ვნახოთ, შეეხედოთ სიტუაციას. სამწუხაროდ, დედოფლისწყაროს ახასიათებს გვალვები, 2022 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რა ვითარება იქნება, რა სურათს დავინახავთ - ეს შევსება მოკლევადიანი სიხარული აღმოჩნდება თუ უკვე შეუქცევადი პროცესი? ამ დაკვირვების შემდეგ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ვუთხრა ყველას-მინდა მოსახლეობა დავარწმუნო, რომ გაცილებით ძვირადღირებული პროექტია დაფინანსებული სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგებაში - 100 მილიონ ლარამდეა დახარჯული, გაზიფიცირების პროექტი 12 მილიონი დაჯდა, ყველა მათგანი განვახორციელეთ, და არც ტბის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების მოძიება გაგვიჭირდება.

ასევე გავაგრძელებ ჩამოთვლას- ჩვენ სოფლებშიც აქტიურად ვახორციელებთ შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას. არაჩვეულებრივი პროექტი განხორციელდა ზემო მაჩხაანში მე-19 ქუჩის მოასფალტება, არბოშიკში - „ბოგაანთ უბანი“, რომელმაც თითქმის მთელი სოფლის ნახევარი მოიცვა, არხილოსკალოში, ზემო ქედში ქსნელების უბანი. სოფელ სამრეკლოში, 2022 წელს რომ განვახორციელებთ რამდენიმე პროექტს, უასფალტო ქუჩა აღარ დარჩება სოფელში. ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ შექმნა, ეს პროექტები გაცილებით ძვირადღირებული იყო და თუ ბუნება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ტბა თავის ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდება, დამერწმუნეთ, რომ 5-6 მილიონის მობილიზება ნამდვილად არ გაგვიჭირდება იმისთვის, რომ ყველა დედოფლისწყაროელისთვის ამ მნიშვნელოვანი ადგილის, რომელსაც ქოჩების ტბა ჰქვია, რეაბილიტაცია მოხდეს. მთავარია, რომ ტბის შევსების პროცესი იყოს შეუქცევადი და არ იყოს მოკლევადიანი.

და ბოლოს, ჩვენი რაიონი ელოდება იუნესკოს გადაწყვეტილებას -ბიორეზერვატის სტატუსის მინიჭების თაობაზე. როგორია პერსპექტივა...

-ეს არის პირველი პრეცედენტი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ამის განხორციელების საშუალება მოგვცა იმან, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ მოიგო ევროკავშირის 300 ათას ევროიანი გრანტი, ჩვენს პარტნიორ რეკ-კავკასუსთან ერთად და საშვილთაშვილო საქმის განხორციელებას შეუდგა. მასშტაბები რომ წარმოიდგინოს ჩვენმა მოსახლეობამ, უნდა აღვნიშნო, რომ ბიოსფერული რეზერვატის მინიჭება მხოლოდ საქართველოს მთავრობის პროგრამატივა არ არის, ანუ, ეს პროექტი ეროვნულ მასშტაბებს ცდება. ამ პროექტის ბოლომდე მიყვანის დიდი იმედი მაქვს, რადგამ შანსები ძალიან მაღალია. რატომ? იმიტომ რომ, მაქსიმალურად შევეცადეთ სწორად გვემუშავა, არ დაგვეშვა შეცდომები და შეგვესრულებინა ყველა ის აუცილებელი პირობა, რასაც პროექტი ითვალისწინებს. დედოფლისწყაროელებისთვის უფლის საჩუქარია დაცული ტერიტორია - ვაშლოვანის ნაკრძალის სახით, ეს უნიკალური ბიომრავალფეროვნება, რომელიც ჩვენ გვაქვს, იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს პროექტი განხორციელდეს. პროექტის განხორციელებით, ერთი მხრივ, დედოფლისწყაროს ცნობადობა ერთიორად გაიზრდება საერთაშორისო მასშტაბით, რაც გამოიწვევს ტურისტების ზრდას, მეორე მხრივ კი ეს აუცილებლად გახდება დედოფლისწყაროში არსებული ეკონომიკური სექტორის განვითარების საწინდარი, გაზრდის შემოსავალს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დედოფლისწყარო პოზიციონირებას დაიწყებს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვანე მუნიციპალიტეტი, სადაც ნაწარმოებ პროდუქციას ექნება სანდოობის მაღალი ხარისხი.

ცნობილი ლექსისა არ იყოს, „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია!“, ქართველისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებაზე ზრუნვაა, ეს არის ჩვენი ვალი და ამ ყველაფრის განხორციელებით ჩვენ არანაირ უკუეფექტს არ მივიღებთ. იმიტომ, რომ ჩვენ ვალდებულები ვიქნებით ვიზრუნოთ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე , ჩვენ ვალდებულები ვიქნებით, ვიზრუნოთ არსებული ეკონომიკური სექტორის განვითარებაზე, შეზღუდვა იქნება მხოლოდ ის, რომ მაგალითად, დედოფლისწყაროში არ განვითარდება ქიმიური მრეწველობა, რომელიც ხელს შეუშლის და დააბინძურებს ბუნებას, რომელიც ჩვენს უნიკალურ ლანდშაფტს თუ კლიმატს შეცვლის და ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა

2020 წელს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ჩართულობით, ენპარდ-2-ის პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი ა(ა)იპ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ, ესპანელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, შემუშავდა მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

მასში მთავარი სტრატეგიული მიმართულებებია სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და გარემოსდაცვა, რაც უკავშირდება მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ პასუხისმგებლობას და ბიზნესის დივერსიფიკაციას ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ჭრილში. ამ დოკუმენტის გამოყენებით, მუნიციპალიტეტის მერია, ახალი მოწვევის საკრებულოსთან ერთად, სექტორული ჩართულობით, გეგმავს არსებული ეკონომიკური განვითარების გეგმის (M4EG) განახლებას და 2022 -2025 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებას ახალი, თანამედროვე ტენდენციების გამოყენებით. ეს გულისხმობს: **ინოვაციური ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგიების დანერგვა-გამოყენებას ინვესტიციების/გრანტების მოზიდვით და პარტნიორული პროექტების განხორციელებით, ინტერმუნიციპალური, ასევე, ტრანსნაციონალური თანამშრომლობით.** ეს ხელს შეუწყობს არამარტო ინოვაციური ცოდნის გადმოცემას, არამედ ამ შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენებას, ასოცირების შეთანხმებით და M4EG (მერების შეთანხმება ეკონომიკური განვითარებისთვის) აღებული ვალდებულებების რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე შესრულებას.

გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მხარდაჭერითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით, ორგანიზაცია „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი“ (REC Caucasus) ახორციელებს პროექტს- „ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩო საქართველოში პარიზის შეთანხმების განსახორციელებლად“, რომლის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მერის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ფორმატში, ვორკშოფის დროს მოამზადა „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა“, რომელიც მალე წარედგინება მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს.

2020-2021 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) პარტნიორობით, ევროკავშირის დაფინანსებით, ახორციელებს პროექტს „კახეთში ბიოსფერული რეზერვატის როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის, შექმნა” (NEAR-TS/2018/404-140). პროექტის ფარგლებში შეიქმნება „დედოფლისწყაროს ბიორეზერვატი“, რაც მოიტანს მთელი მუნიციპალური ინდუსტრიის ადაპტირების აუცილებლობას გარემოსდაცვითი ვალდებულებების აღების და რესურსების მდგრადად გამოყენების თვალსაზრისით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტემა, სხვადასხვა სექტორის ჩართულობით, 2020 წლის ბოლოს დაიწყო და 2021 წელსაც აქტიურად გაგრძელდა ENPARD-2 -ის პროგრამის ფარგლებში, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მონანილეობით შექმნილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის 2020-2023 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება, სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობით და ინვესტიციების/გრანტების მოზიდვით.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ჩართული იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ CTC (საპილოტე პროექტში: „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSCAT), რომლის ფარგლებშიც შედგა თანამშრომლობა CTC-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან“, რომელიც იყო პარტნიორი ორგანიზაცია, ამავე პროექტის ფარგლებში და ახორციელებდა საპილოტე პროექტს „ახალგაზრდობის ჩართულობა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის“. მერიის სამუშაო ჯგუფმა მოახდინა მუნიციპალური სერვისების ხარისხის თვითშეფასება „მუსკატის“ სახელმძღვანელოს მიხედვით და დასახა გაუმჯობესების ორწლიანი გეგმა („დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების 2 წლიანი გეგმა“), რომლის განხორციელებაზეც მონიტორინგს ახდენდა დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, მის მიერ მომზადდა მუნიციპალური სერვისების ხარისხის გარე შეფასების დოკუმენტი „მუსკატის“ სახელმძღვანელოს მიხედვით. „ლაგის“ საპილოტე პროექტის ფარგლებში მერის წარმომადგენლების ჩართულობით ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან და ახალგაზრდებთან, მოთხოვნადი პროფესიების და ბიზნეს საჭიროებების გამოსავლენად. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მერიისთვის მომზადდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (სტრატეგია და გეგმა) და გადაეცა მერიის შესაბამის სამსახურს. ამ პროექტის ფარგლებში მერიის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ქარტიის“ დოკუმენტი, რომელსაც სულ მალე განიხილავს ახალი მოწვევის საკრებულო“.

ამ პროექტის შედეგად, მუნიციპალიტეტში დაინერგა მუნიციპალური სერვისების ხარისხის თვითშეფასების (MUSKAT) მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, ყოველწლიურად, ქულებით შეფასდება მუნიციპალური სერვისები და შევა ცვლილებები გაუმჯობესების გეგმაში. ამდენად, სხვადასხვა სამსახურების მიერ, მოხდება მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, გაანალიზება და ცვლილებების შეტანა მუნიციპალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების გეგმაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა აქტიურად ითანამშრომლა ადგილობრივ ა(ა)იპ „ახალ ჰორიზონტთან“, რომელიც CTC-ის იგივე საპილოტე პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მხარდაჭერით, ახორციელებდა ადვოკატირების კამპანიას დედოფლისწყაროში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნის საკითხზე. ჩატარდა საინფორმაციო-სადისკუსიო შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდებთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან, ადვოკატირების კამპანიის დროს შეგროვდა 500-მდე ხელმოწერა და გადაეგზავნა დეპუტატის ბიუროს; მომზადდა ვიდეოპერფორმანსი ახალგაზრდების მონაწილეობით. მოეწყო შეხვედრები თბილისის ტექნოპარკში რეგიონული სერვისების მენეჯერთან ბატონ გიორგი კეჟერაშვილთან და საქართველოს პარლამენტის საგარეჯო, გურჯაანი, დედოფლისწყარო, სიღნაღის მაჟორიტარ დეპუტატთან ბატონ დავით სონღულაშვილთან, რომელსაც ამ საკითხზე ჰქონდა კომუნიკაცია GITA-ს ხელმძღვანელთან. მალევე შედგა სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი დედოფლისწყაროში და მოხდა ცენტრის ასაშენებელი ადგილების დათვალიერება-აღწერა. როგორც დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა გვაცნობა, პროცესი დაწყებულია და ვიდემოვნებთ სააგენტოს მხრიდან კეთილი ნების გამოხატვას.

CTC-ის იგივე პროექტის ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში, დედოფლისწყაროს ა(ა)იპ „ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციის“ მიერ, განხორციელდა პროექტი „მყარი ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების შესაძლებლობები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა დასუფთავების აქციები და ცნობიერების ასამაღლებელი პრეზენტაციები საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, მყარი ნარჩენების რეციკლირების შესაძლებლობების შესახებ. ადვოკატირება განხორციელდა ბიზნეს სუბიექტებთან და ნარჩენების წარმომქნელ სხვადასხვა ჯგუფებთან; ჩატარდა კვლევა თემაზე: რა სახის და რა რაოდენობის მყარი ნარჩენები წარმოიქმნება დედოფლისწყაროში და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მომზადდა რეკომენდაციები 2022 წლიდან მყარი ნარჩენების სეპარირების შესაძლებლობების გამოყენების მიმართულებით.

2021 წლის ბოლოს წარდგენილი საპროექტო განაცხადების საფუძველზე მოპოვებული გრანტებით, 2022 წლიდან აქტიურ ფაზაში გაგრძელდება ახალი პროექტების განხორციელება: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და წარადგინა პროექტი „ქალაქ დედოფლისწყაროში ციხე-ქალაქ ხორნაბუჯის ტურისტული ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით“. პროექტით დაგეგმილია ხორნაბუჯის ციხე-ქალაქის მიმდებარე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა საკემპინგე, საპიკნიკე, სარეალიზაციო და საპარკინგე სივრცეებით, კომუნიკაციებით, სველი წერტილებით, გადასახედით და მისასვლელი გზის რეაბილიტაციით.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციამ და ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა მერიის რეკომენდაციით დაიწყეს პროექტის - „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი GOOGLE MAP-ზე“- განხორციელება, რომელიც 2022 წელსაც გაგრძელდება. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD III ფაზა) მიერ და მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის, პროექტის „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“- ინიციატივა „ჭკვიანი სოფლები (Smart Villages)-ს ფარგლებში. პროექტით დაგეგმილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო ობიექტების და ბიზნესების დატანა/მონიშვნა GOOGLE MAP-ზე, ასევე, დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის და ბიზნესის მფლობელებისთვის, უფასო ტრენინგის ჩატარება Google my business-ის გამოყენებასა და GOOGLE-ის სხვა სერვისებზე. პროექტი ხელს შეუწყობს დედოფლისწყაროს ცნობადობის გაზრდას და ბიზნეს კონტაქტების განვითარებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა, 2021 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამაში: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ და წარადგინა პროექტი „აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში ადამიანთა უფლებების გაძლიერება ცნობიერების ასამაღლებელი პრევენციული ღონისძიებების გატარებით და რეგიონის მცხოვრებთა ინფორმირება ფინანსური რისკების და ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული საფრთხეების შესახებ“ და მიიღო დაფინანსება. 2022 წლიდან პროექტის განხორციელება აქტიურ ფაზაში შევა. წლების განმავლობაში, მეგობარი ქვეყნების დახმარებით, საქართველოს რეგიონებში ხორციელდება საერთაშორისო საგრანტო პროგრამები და მრავალი დონორი ორგანიზაცია ეხმარება სტარტაპერებს და მოქმედ ბიზნესებს გაძლიერებაში.

/გაგრძელება გვ.4/

ახალი საბავშვო ბაღი არხილოსკალოში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი სოფელ არხილოსკალოს ახლად გახსნილ საბავშვო ბაღს ეწვივნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნუგზარ პაპიაშვილმა პატარებს დამდეგი ახალი წელი მიულოცეს და ბედნიერი მომავალი უსურვეს.

არხილოსკალოს საბავშვო ბაგა-ბაღში სოფლის მომავალი თაობის აღზრდისთვის ღირსეული პირობებია შექმნილი. თანამედროვე, უმაღლესი სტანდარტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 55 აღსაზრდელზეა გათვლილი .

ახალგაზრდები მერს შეხვდნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს შეხვდა, რომლებმაც მერს საკუთარი იდეები გაუზიარეს. თავის მხრივ , ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მათ ის პროექტები გააცნო, რომელთა განხორციელებაც მომავალ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში იგეგმება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, 2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში და მათ შორის ქალაქ დედოფლისწყაროშიც, აშენდება მინი სტადიონები, მოეწყობა საბავშვო სკვერები და ღია ტრენაჟორები. ასევე, აშენდება ლაშა ბექაურის სახელობისა და კიკ ბოქსინგის ახალი დარბაზები, განხორციელდება ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე რეკრეაციული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა და ცენტრალური პარკის სრული რეაბილიტაცია.

„ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტულია მომავალი თაობის განვითარებაზე ზრუნვა და მათი მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ მომავალი წელი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის წლად გამოვაცხადეთ. მიხარია, რომ ისინი აქტიურად არიან დაინტერესებულნი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებით, აქვთ საინტერესო იდეები და მოსაზრებები. მისასალმებელია ასეთი პატარა ასაკიდან მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ზრუნვა“-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

რაგბის კავშირის შეხვედრა დედოფლისწყაროში

რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, გამგეობის თავმჯდომარემ დავით კაჭარავამ, ვიცე-პრეზიდენტებმა თორნიკე გოგებაშვილმა და ნიკა ალავიძემ, რეგიონალური განვითარების ხელმძღვანელმა გაიოზ მონიავამ, გამგეობის წევრმა გიორგი კობახიძემ და ბავშვთა რაგბის განვითარების ხელმძღვანელმა, ვეტერანმა ბორჯღალოსანმა გია ლაბაძემ, მაჟორიტარ დეპუტატ დავით სონღულაშვილთან ერთად საგარეჯოში, სიღნაში, გურჯაანსა და დედოფლისწყაროში შეხვედრები გამართეს.

ვიზიტის ფარგლებში რაგბის კავშირის ხელმძღვანელები და დავით სონღულაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილსა და მერის მოადგილეს მალხაზ მერაბიშვილს შეხვდენენ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ შესაბამისი ინფრასტარუქტურის მოწყობის შემდეგ აღნიშნული სპორტით კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება.

ვიზიტის ბოლოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა დედოფლისწყაროს სოფელ ზემო ქედში ადგილობრივ ბავშვთა გუნდ „მიმინოს“ გიორგი სვანიძესთან ერთად ეწვია, რომელიც კომპანია „სვანიძის ზეთისხილი“-ს დამფუძნებელია. სვანიძემ ბავშვებს და მწვრთნელებს საჩუქრები გადასცა და პირობა დადო, რომ როდესაც დედოფლისწყაროს კაცთა გუნდი ეყოლება, მისი პარტნიორი გახდება და ყველა პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

საკრებულოს სხდომა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.

საკრებულოსა წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულიოს 2020 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

ასევე, ცვლილებები შევიდა ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ '' საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის №1 განკარგულებაში .

დღესვე საკრებულოს წევრებმა მოიწონეს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტყის ტერიტორიაზე 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები.

შეხვედრა ნიჭიერის ფინალისტთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა „ნიჭიერის“ ფინალისტ დავით ლეკაშვილს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი დავით ლეკაშვილს ახალგაზრდებთან ერთად დედოფლისწყაროს მთავარ ნაძვის ხესთან შეხვდა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულად წარმოჩენა და გამარჯვება უსურვა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ახალგაზრდებს მოუწოდა, იაქტიურონ და დაურეკონ დავით ლეკაშვილს ნომერზე 0903 300 302



საახალწლო ღონისძიებები მთავარ ნაძვისხესთან

30 დეკემბერს ქ. დედოფლისწყაროს მთავარ ნაძვის ხესთან გიწვევთ საახალწლო ღონისძიებები გაიმართა.

*დღის პირველი ნახევარი დაეთმო ბავშვთა გასართობ კონცერტებს და აქტივობებს. მთელი დღის განმავლობაში ანიმატორები და ზღაპრის გმირები ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ. ტერიტორიაზე მოეწყო ფერადი გასაბერი ბატუტი.

*14:00 საათიდან სანტამ სახლში უმასპინძლა ბავშვებს თუ მოზარდებს. ასევე სანტასთან მისულ ბავშვებს დაურიგდათ ტკბილეული.

*სცენაზე 14:00 საათიდან დაიწყო „მეკო სტუდიას“ საბავშვო კონცერტი 1,5 საათიანი პროგრამით.

*ღონისძიების წამყვანი იყო: თათია ქვრივიშვილი

*სცენა დაეთმო დედოფლისწყაროს საბავშვო მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს.

*18:00 - გაიმართა „სალიო“ კონცერტი.

*ასევე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში მოეწყო საშობაო ბაზრობა/გამოფენა-გაყიდვა (Christmas market)

*ტერიტორია გაფორმებული იყო სხვადასხვა საახალწლო ინსტალაციით და დეკორაციით.

*ღონისძიება დაასრულა საზეიმო ფოიერვერკმა.

*ღონისძიებები ჩატარდა კოვიდრეგულაციების დაცვით.

„კულტურას საკმაოდ რთული წელი ჰქონდა, ბევრ დაბრკოლებას წავაწყდით“

კოვიდ პანდემიის მეორე წელს რა გამოწვევები ჰქონდა კულტურის სფეროს, ამის გასარკვევად გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ილია მარტყოფლიშვილს ესაუბრა. რა სიახლეებით ხვდება კულტურის ცენტრი ახალ წელს, როგორ უმკლავდებიან ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანები პანდემიით გამოწვეულ პროგლემებსა და შეფერხებებს, ამას ქვემოთ მოცემული ინტერვიუდან შეიტყობთ.

ილია მარტყოფლიშვილი: - „საუბარს დავიწყებ ბოლო სასიამოვნო სიახლით, რომელიც ჯერ არსად გაჟღერებულა და გეტყვით, რომ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება ასრულდა. სოფელ მირზაანში ბიბლიოთეკის გახსნა შევძელით. ოფიციალური გახსნის ცერემონია ჯერ არ გვქონია, თუმცა რამდენიმე დღეა წიგნადი ფონდი გადავიდა საკმაოდ კეთილმოწყობილ საოფისე ფართში. ჩვენს ბიბლიოთეკარსაც, რომელსაც დიდი ღვაწლი აქვს ფონდის შენარჩუნებაში, ამიერიდან მიეცემა საშუალება ადამიანურ გარემოში იმუშაოს. ფართის უქონლობის გამო, არაერთი წელია შორენა ჯანიაშვილმა საკუთარი საცხოვრებელი სახლის ფართი დაგვითმო და ასე გადაარჩინა ათასობით წიგნი. სოფელ მირზაანის მკითხველსაც მრავალი წელია სასურველი წიგნის შერჩევა სწორედ ბიბლიოთეკარის ბინაზე მისვლით უწევდა. უჩვეულო გარემოში მუშაობდა, თუმცა ყველამ ერთად სოფელს ბიბლიოთეკა და მდიდარი ფონდი შევუნარჩუნეთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სოფელ მირზაანის მაჟორიტარ დეპუტატს, ვანო ნატროშვილს. დეპუტატად არჩევიდან ორიოდ თვეში, მისი დახმარებით, პრობლემა გადაიჭრა. მას ჩვენი პრობლემის შესახებ ვესაუბრეთ და მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ მირზაანი ერთადერთი სოფელია, სადაც ბიბლიოთეკას შენობა არ ჰქონდა, რამდენიმე დღეში საკითხი მოგვარდა. ასევე მადლობას ვეტყვი სოფლის რწმუნებულს, აკაკი თარაშვილს. მან სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში საკმაოდ დიდი და კეთილმოწყობილი ფართი დაგვითმო და ასე განთავსდა ბიბლიოთეკა მირზაანის ადმინისტრაციულ შენობაში. ნიკალას სოფელი სკოლის გაუქმების შემდეგ მიგრაციის მწვავე პრობლემის წინაშე დადგა, ამიტომ ვფიქრობ, ბიბლიოთეკის არსებობა ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სოფლისთვის. როდესაც სკოლა გაუქმდა, სასოფლო ბიბლიოთეკა სკოლის ყოფილ შენობაში განთავსდა, მანამდე ის მოძველებულ ფართში, მონასტრის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა. შემდეგ სკოლა რამდენიმე წელში აღდგა და ბიბლიოთეკა გამოასახლეს. ბევრი წერილი გაიგზავნა და წლების განმავლობაში არაერთხელ მივმართეთ განათლების სამინისტროს, თუმცა მათი პოზიციაა, რომ სკოლის შენობაში სხვა ორგანიზაციის განთავსება არ არის მიზანშეწონილი. სწორედ ამ მიზეზით ჭიანურდებოდა ბიბლიოთეკის აღდგენა და ჩემი ამ სამსახურში გადასვლის დღიდან მუდმივად მაწუხებდა ეს საკითხი. ბედნიერი ვარ, რომ ეს რთული პროცესი გავიარეთ და წინა ხელისუფლების მსგავსად ბიბლიოთეკების დახურვის გზას ავცდით.

პანდემიის გამო წელს იმაზე რთული ვითარება დაგვიდგა, ვიდრე გასულ წელს დედოფლისწყაროში იყო, ამდენად წელს ჩვენი დარბაზი მხოლოდ ორჯერ ახმიანდა. 2021 წელს იმატა კოვიდ სიკვდილიანობამ, წინა წლისგან განსხვავებით, წელს უფრო მეტი თანამშრომელი დაინფიცირდა, რამაც ხელი შეგვიშალა აქტიურად გვემუშავა. მოსახლეობაც სიფრხილით ეკიდება და ერიდება ღონისძიებებში ჩართულობას. ქვეყანაში ყველა თეატრი მუშაობდა, ამიტომ დედოფლისწყაროს ახალგაზრული თეატრი „ბერიკონიც“ არ იყო გამონაკლისი და ახალმა თაობამ აქტიურად იმუშავა. წელს კულტურის სახლის დიასახლისს და საბავშვო თეატრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ცარო მარტიაშვილს საიუბილეო წელი აქვს, ამდენად, სპექტაკლის პრემიერა და საიუბილეო ღონისძიება გავაერთიანეთ და ლამაზი საღამო ვაჩუქეთ, როგორც დედოფლისწყაროელებს, ისე ყველაზე ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკს. მისი ღვაწლი რომ ღირსეულად დაფასებულიყო, დედოფლისწყაროს მერმა გადაწყვიტა, კულტურის სახლის შესასვლელში ცარო მარტიაშვილის სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნას და ეს პირობა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სცენიდან, ცარო მარტიაშვილისადმი მიმართვის დროს დადო. დამზადდა ვარსკვლავი, ჩაინიშნა ცერემონიაც, რომელიც დედოფლისწყაროობის ტრადიციულ ღონისძიებაზე უნდა გამართულიყო. თუმცა, რამდენიმე დღით ადრე, კოვიდვითარების გამწვავების გამო ვარსკვლავის გახსნაც, საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენაც და კონცერტიც გაუქმდა. იმედი მაქვს, მალე მოგვეცემა შესაძლებლობა, ეს დაპირება განვახორციელოთ. ეს საინტერესოს გარდა, უპრეცედენტო სიახლე იქნება დედოფლისწყაროსთვის და კიდევ ერთ საინტერესო ტრადიციას ჩაეყრება საფუძველი.

სექტემბერში ასევე ვგეგმავდით ლეო ხუნაშვილის საიუბილეო საღამოს, რომელიც ასევე პანდემიის გამო ვერ შედგა და ძალიან მინდა ამ დღის სათანადოდ აღნიშვნაც შევძლოთ. მრავალი წელია ლეო ხუნაშვილის ღვაწლის შესახებ ისმის და გვინდა, ამ ჟესტით დავაფასოთ და მადლობა ვუთხრათ მას ყველაფრისთვის. ჩვენი მიდგომა ასეთია, რომ ნელ-ნელა, ყველას ღვაწლის დაფასება და მადლობის გადახდა მოვახერხოთ. ყურადღება ყველაზე ძვირფასი რამაა ადამიანებისთვის...

ცუდ პერიოდში გვიწევს ცხოვრება. სამწუხაროდ, პანდემიამ დედამიწა გააჩერა, დაპაუზდა ჩვენი გეგმებიც, ხედვებიც. ყველა ადამიანის ცხოვრების წესი შეიცვალა, მაგრამ ჩვენი დიდწილად... შეზღუდვები ხომ ყველაზე მეტად კულტურის სფეროზე აისახა, რადგან ჩვენი საქმიანობა პირდაპირაა დაკავშირებული მასობრივ თავყრილობებთან.

ეპიდვითარების შესაბამისად შემოქმედებით წრეებსა და ანსამბლების მუშაობაში ხშირი წყვეტა იყო, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ პროცესი ჩავარდა, ან ვინმე მთელი წელი გაჩერებული იყო. სკოლების მსგავსად, ჩვენთანაც, სასწავლო პროცესი წერტილოვანი შეზღუდვებით მიმდინარეობდა. ზოგ სოფელში არ არის ბავშვთა ის რაოდენობა, რომ რეგულაციების მკაცრი დაცვა ყოფილიყო საჭირო, თუმცა, ვცდილობდით პროცესი ისე გვემართა, რომ ვირუსის გავრცელების წყარო ჩვენი გაკვეთილები არ გამხდარიყო. ვფიქრობ, ეს კარგად გამოგვივიდა და კლასტერები არ გვქონია. ასევე კმაყოფილი ვარ აცრების მაჩვენებლებითაც. თავდაპირველად, როცა აცრის მსურველთა სია შევადგინე, 125-დან მხოლოდ სამი და შემდეგ ექვსი მსურველი იყო. ძალიან ცუდი სურათი გამოიკვეთა, თუმცა, შემდგომში, როცა თანამშრომლებმა მეტი ინფორმაცია მიიღეს ვაქცინის შესახებ, სკეპტიკურად განწყობილთა დიდმა ნაწილმა აცრა ჩაიტარა და დღეს ჩვენს ცენტრში რამდენიმე გამონაკლისის გარდა უმრავლესობა სრულად ვაქცინირებულია და ნაწილმა ბუსტერის გაკეთებაც დაიწყო. აცრილები არიან რისკჯგუფებში შემავალი თანამშრომლებიც. საბედნიეროდ, ჩვენს ცენტრში კოვიდ გარდაცვალების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და მინდა ვისურვო, რომ 2022 წელიც დანაკარგის გარეშე დავასრულოთ.

წლევანდელი წელი გამოვიყენეთ საიმისოდ, რომ ზოგიერთი საბავშო ანსამბლებისთვის ახალი ფორმები შეგვეკერა. ზაფხულში გელა გველუკაშვილის ანსამბლი ქობულეთში სამდღიან ფესტივალზე მიემგზავრებოდა, ყველაფერი მზად გვქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, წასვლის წინა დღეს რიკოთის უღელტეხილზე გზა ჩაიკეტა და ჯგუფმა გამგზავრება ვერ მოახერხა. ეს წელი ასევე გამოვიყენეთ შიდა აუდიტის სამსახურისა და დედაქალაქიდან ჩამოსული აუდიტორების შენიშვნების გასათვალისწინებლად და რეკომენდაციების შესასრულებლად.

წელს ყველაზე ლამაზად მოირთო დედოფლისწყაროს მთავარი ნაძვისხე, რომელიც ყველაზე მაღალია რეგიონში და რვა რაიონის მასშტაბით ერთერთი საუკეთესოა. ჩვენი ნაძვისხე ზოგიერთ გამოკითხვებში მეორე ადგილსაც ღირსეულად იკავებს. სიახლეა ისიც, რომ ქალაქის ქუჩები განსხვავებულად განათდა, პირველად განათდა გზებზე ხის ძირები. კიდევ ბევრი იდეა გვქონდა, მაგრამ ვანდალური ფაქტების სიმრავლე ხელს გვიშლის ყველა ჩანაფიქრის ხორცშესხმაში. რა თქმა უნდა, ვცდილობთ, თანხებიც მოკრძალებულად დავხარჯოთ. მაგალითად გასულ წელს საახალწლო განათებებსა და მორთულობებში არცერთი თეთრი არ დაგვიხარჯია და ბიუჯეტის სახსრები დაიზოგა. გასულ წელს არც საახალწლო კონცერტები გამართულა ჩვენს მუნიციპალიტეტში. წელს კი პირველად მოხდა, რომ დედოფლისწყაროს მთავარი საახალწლო ღონისძიება არა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯული თანხით, არამედ პრემიერის დაფინანსებით შედგა. ამისათვის მადლობა მინდა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს. ასეთი მრავალფეროვანი და მრავალკომპონენტიანი საახალწლო ღონისძიება დედოფლისწყაროს არასოდეს ჰქონია. ნაძვისხისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა წელს პირველად სოფლების კულტურის სახლებსაც მივეცით. ამგვარი აქტივობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ, საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოზარდებისთვის, რომელთათვისაც ხშირ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში ეს პირველი საჯარო აქტივობა და ღონისძიება იყო. პანდემიურმა ჩაკეტილობამ ყველას მოანატრა

დასასრულს, შობა-ახალი წელი მინდა მივულოცო ყველა დედოფლისწყაროელს, „შირაქის“ ერთგულ მკითხველს. პირველ რიგში მსოფლიო სენის დასრულება ვისურვოთ, ცხოვრების ჩვეულ რიტმს რომ დავუბრუნდეთ და განვითარებაზე ვიფიქროთ. სიკეთის, სიყვარულის და ბედნიერების, ხვავის და ბარაქის წელი დაუდგეს საქართველოს, დედოფლისწყაროსა და ჩვენს ოჯახებს.

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა

/დასაწყისი მე-2 გვერდიდან/

მაგ, ენპარდ 3-ის პროგრამის ფარგლებში, FAO და UNDP ARDA-სთან ერთად, ლიდერ მუნიციპალიტეტებში, მათ შორის დედოფლისწყაროში, ახორციელებს სოფლის განვითარების საგრანტო პროგრამებს (ბენეფიციარის თანამონაწილეობით) სხვადასხვა მიმართულებით. საგრანტო პირობებით აქვთ დაშვება თანამონაწილეობის კომპონენტში მიიღონ გარანტია საბანკო სესხის სახით, ხშირად ბენეფიციარი აპლიკანტი საკრედიტო ვალდებულებების და მოსალოდნელი საფრთხეების გაუთვალისწინებლად, ანერს ხელს ხელშეკრულებას და შემდეგ ვეღარ ართმევს თავს ამ ვალდებულებების შესრულებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, წარმატებული ბიზნესის ნაცვლად, ქონების დაყადაღებით და სასამართლო დავებით სრულდება. ადამიანები ხშირად კარგავენ საცხოვრებლებს იპოთეკური სესხების გამო, ზოგჯერ უპირობო სესხის გამო, მოქალაქეები, უმეტესად სტუდენტები, ახალგაზრდები, კერძო საკრედიტო ორგანიზაციებთან მიდიან, რომლებიც ხშირად, ატყუებენ ხალხს, ასეთი შემთხვევა ბევრი გვახსოვს. მოზარდების მიერ, მშობლების ნებართვის გარეშე, მობილური ტელეფონის შესაძენად აღებული სესხის გამო, ხშირად ზარალდებიან ოჯახები და კარგავენ მნიშვნელოვან ქონებას. ზოგჯერ მეუღლეები შეუთანხმლებლად აგირავებენ ქონებას ან იღებენ სესხებს და შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, ეხვევიან ოჯახურ კონფლიქტებში, სასამართლო დავებში, კარგავენ ქონებას. ამ ფაქტებზე მეტყველებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემები: იძულებით აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობა და პრობლემური სესხების რიცხვი, უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დაკარგული ბიზნესების თუ ნივთების მზარდი დინამიკა. დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში მცხოვრებ ადამიანებს, ამგვარი შეცდომებისგან თავის დასაზღვევად, შედარებით მეტი წვდომა აქვთ საკონსულტაციო ცენტრებთან, რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს კი, სადაც ზოგჯერ ინტერნეტის პრობლემებიც კია, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ამგვარ სერვისებზე. შესაბამისად, არ ხდება პრევენციული ზომების გატარება და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება.

პროექტის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში გააძლიეროს რეგიონში მცხოვრებ ადამიანთა უფლებების დაცვა, კონკრეტულად, საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, რაც გულისხმობს აქ მცხოვრები, სხვადასხვა სექტორში (საჯარო, სამოქალაქო, ბიზნესი) დასაქმებული ადამიანების, პენსიონერების, მოსწავლეახალგაზრდების და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას პრევენციული ღონისძიებების გატარებით, საგანმანათლებლო თემატიკის და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით და ფოკუსჯგუფებზე მორგებული აქტივობების გამოყენებით. პროექტის მთავარი ამოცანაა პრევენციული ხასიათის კამპანიის გაძლიერება რეგიონებში, კონკრეტულად დედოფლისწყაროში, რისი განზოგადებაც შესაძლებელია მოხდეს სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ძირითადი მიმართულება იქნება სხვადასხვა სექტორში დასაქმებული, განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის, სქესის და ეროვნების ადამიანების (მათ შორის მოზარდების) ინფორმირება ფინანსური რისკებისა და ვალდებულების შეუსრულებელობის თანმდევი ნეგატიური შედეგების შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიუროს ფუნქციების და საქმიანობების შესახებ. ამ პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს ცნობადობის გაზრდა და ადამიანთა უფლებების დაცვის გაძლიერება რეგიონში, კერძოდ, თბილისიდან და თელავიდან საკმაოდ დაშორებულ საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მცხოვრები ადამიანების, რომლებსაც ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ საკონსულტაციო სერვისებთან, მათ მიეცემათ შესაძლებლობა, პროექტის ფარგლებში, მიიღონ საჭირო ინფორმაცია და აიმაღლონ ცნობიერება სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა და მოსალოდნელი საფრთხეების აცილების მიმართულებით.

2022 წლის იანვრიდან, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან თანამშრომლობით, იწყება რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის (CRA) პროექტი: „რეგენერაციური აგროკულტურის ცენტრის ინსტიტუციური განვითარება დედოფლისწყაროში”. CRA-ს აქვს 2 წლიანი გამოცდილება არაფორმალური განათლების სფეროში და ამ მხრივ ჰყავს მსემენელთა ფართო აუდიტორია, რომელიც დაინტერესებულია ორგანული, ინოვაციური და ეკომეგობრული სასოფლო-სამეურნეო მიდგომებით. მისი მიზანია, ხელმისაწვდომი გახადოს საჭირო განათლება და უნარები ფერმერებისა და ოჯახებისათვის, რისთვისაც ორგანიზაცია პოპულარიზაციას გაუწევს რეგენერაციულ აგროკულტურასა და გარემოსდაცვით მიდგომებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. პროექტის მთავარი მიზანია სოფელ არხილოსკალოს „ცოდნის სახლის” ბაზაზე, განავითაროს CRA, როგორც ტრნინგ ცენტრი, რომელიც სემინარებს ჩაატარებს ინოვაციურ, ორგანულ და გარემოზე ორიენტირებულ სოფლის მეურნეობაში. პროექტის არაპირდაპირი, ანუ ირიბი ბენეფიციარები იქნებიან დედოფლისწყაროში მცხოვრები ფერმერები, ეს განსაკუთრებით ეხება 2500 ოჯახს, რომელიც ცხოვრობს 3 სამიზნე სოფელში (ზემო ქედი, არხილოსკალო, ქვემო ქედი), რადგან მათთვის მარტივად ხელმისაწვდომი გახდება არხილოსკალოს „ცოდნის სახლში“ განათლების მიღება და საჭირო უნარების შეძენა, ასევე, ხელმისაწვდომი იქნება აგრო-საკონსულტაციო სერვისები. 2021 წელს დაიწყო და კვლავ გაგრძელდება პროექტი, რომელსაც დედოფლისწყაროს ტურიზმის ასოციაცია ესტონელ მეგობრებთან ერთად ახორციელებს.

ანა ბენაშვილი,

დედოფლისწყაროს მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში

განათლებაა ყველაფრის სათავე...

გაზეთი „შირაქი“ აგრძელებს მრავალწლიან ტრადიციას და წლის ბოლოს სტუმრობს ყველა საკვანძო ორგანიზაციას შემაჯამებელი ანგარიშის მოსასმენად. ამჯერად დედოფლისწყაროს რესურსცენტრის ხელმძღვანელის, ეთერ ზურიკაშვილის წლის შეჯამებას გთავაზობთ:

-დამთავრდა 2021 წელი. 2022 წელი ფეხბედნიერი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსთვის და თითოეული თქვენგანისთვის. სკოლებისთვის სასწავლო წლის პირველი სემესტრი დამთავრდა. მიუხედავად პანდემიისა და წერტილოვანი დაკეტვისა, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროექტებსა თუ სხვადასხვა კონკურსებში. სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ წელს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ყველასთვის საყვარელ, საუკეთესო პედაგოგს, მანანა მახარობლიშვილ-შანშიაშვილს.

2021 წელს 20-მა მოსწავლემ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, 7-მა კი ვერცხლის მედალზე. აბიტურიენტად დარეგისტრირდა 116, სტუდენტი გახდა 106 მოსწავლე. 2-მა 100% გრანტი, 8 მოსწავლემ 70%, ხოლო 12- მა 50% -ანი დაფინანსება მოიპოვა. აქედან განსაკუთრებით იაქტიურეს ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. სამინისტროს მიერ წელსაც განხორციელდა წიგნებისა და პირველკლასელებისთვის ბუკების გადაცემა. საბაზო საფეხურის 32 წარჩინებულ კურსდამთავრებულს გადაეცემა პორტატული კომპიუტერი. მინდა აღვნიშნო, რომ წელს პირველად ჩატარდა სპეციალური საჭიროების მქონე საგნის მასწავლებლებისთვის გამოცდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებიდან 7-მა პედაგოგმა აიმაღლა ამ მიმართულებით სტატუსი.

პროექტებსა და კონკურსებში ჩართულობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დედოფლისწყაროს პერველი და მეორე, ზემო მაჩხაანის, არხილოსკალოს, ზემო ქედისა და სამრეკლოს საჯარო სკოლები, რომლებმაც წლის განმავლობაში განახორციელეს მრავალი პროექტი და კონკურსი. ეს მცირე ჩამონათვალია, რასაც ახლა მოგახსენებთ:

-ახალგაზრდული იდეის ფარგლებში ამ სკოლებმა მიიღეს დაფინანსება, რაც გამოიყენეს სკოლების საჭიროებებისთვის.

-დედოფლისწყაროს N1-მა საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო გამოცხადებულ სასკოლო პროექტში „ოლიმპიზმი სკოლებში“ და დაიკავა პირველი და მეორე ადგილები.

-ინგლისური ენის მასწავლებლის ეკა სეფიაშვილის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა „მარკ ტვენის საიუბილეო კონკურსში“ გაიმარჯვეს და გადაეცათ სერთიფიკატები. ქვემო ქედის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გიორგი ცაბაურაშვილი გახდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წლის ეტალონი მოსწავლე.

-ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ გიორგი მოსულიშვილმა გაიმარჯვა ესეების კონკურსში და გადაეცა სიგელი,ხოლო მე-12 კლასელებმა გაიმარჯვეს ბლოგების კონკურსში და მიიღეს ჯილდოები.

-არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ და დაჯილდოვდნენ სიგელებით. საერთაშორისო კონკურსში „კოდის ერთ საათში“ მონაწილეობისათვის მე-6 კლასის მოსწავლეებმა მიიღეს სერთიფიკატები, ხოლო მასწავლებელი ეკატერინე ჩიტაური დაჯილდოვდა „მაიქროსოფტის“აღიარების სერთიფიკატით.

განსაკუთრებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მასწავლებელს ნონა ტოკლიკიშვილს, რომელიც ყველა პროექტისა თუ კონკურსის აქტიური განმახორციელებელია, ის საუკეთესო და მოსწავლეებისთვის საყვარელი მასწავლებელია, მათი მეგობარი. მისივე აქტიურობით სკოლაში ჩამოყალიბდა ეკოკლუბი- „შექმენი მომავალი“. მისი წევრები თანამშრომლობენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. კლუბის მოსწავლეები ჩაერთნენ ქურციკების პოპულაციის მონიტორინგში, რაზეც სიუჟეტი მოამზადა აჭარის ტელევიზიამ. იგი მეორე წელია ხელმძღვანელობს ვირტუალურ მწვანე ბანაკში ჩართულ არამარტო თავისი სკოლის, არამედ სხვა სკოლის მოსწავლეებსაც. მოსწავლეები კონკურსებში მონაწილეობენ და საპრიზო ადგილებსაც იღებენ. ელენე პოპიაშვილთან ერთად ახორციელებს პროექტს „მეწარმეობისა და იდეების ლაბორატორია“, „2021-2022 სასკოლო პროექტებს“, სადაც ყურადღება გადატანილია ფინანსურ წიგნიერებაზე.

მოგახსენებთ, სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც. სამრეკლოს საჯარო სკოლაში დამთავრდა სველი წერტილების მოწყობა, გამოიცვალა ელექტროგაყვანილობა დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის დაწყებით კორპუსში, ასევე არბოშიკის საჯარო სკოლაშიც მთავრდება სველი წერტილები-მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში სამინისტრომ გაითვალისწინა და აშენდება ოზაანის საჯარო სკოლა, მოხდება დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს მთავრობას, ადგილობრივ ხელმძღვანელობას და მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი.

ვისარგებლებ და თქვენი გაზეთის საშუალებით ახალ 2022 წელს მივულოცავ ჩვენს საყვარელ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, დედოფლისწყაროს თითოეულ მოქალაქეს, წარმატებები, სიკეთე და სიხარული არ მოაკლოთ უფალმა.

იმედია, პანდემია დამთავრდება და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით.

უფალი გვფარავდეს!“

სოციალური სფერო და წითელი ჯვარი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა და მათზე ზრუნვა კვლავ რჩება ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვის საგანი. რა პროექტები განახორციელა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურმა 2021 წლის განმავლობაში, ამის შესახებ სამსახურის ხელმძღვანელი დოდო ხუნაშვილი საუბრობს.

– დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ორგანიზებულად შესრულების მიზნით დამუშავდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2021 წლის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც დამტკიცდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №28 დადგენილებით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა, რომ იგი მაქსიმალურად მოქნილი, გამჭვირვალე, ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი ყოფილიყო სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის, რომლის საფუძველზე განისაზღვრა ქვემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტები და მიზნობრივი ჯგუფები:

•მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი;

•შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი;

•ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი;

•ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი,

•მრავალშვილიანი ოჯახი, რომლესაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე) ბავშვი;

•მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

•საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი;

•ხანძრით, მიწისძვით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს;

•გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და ინვალიდის ოჯახი;

•100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე;

•მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი და მონაწილე;

•ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე;

•მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ოთხი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე) ბავშვი;

•სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება;

•აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახი;

•18 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის რეაბილიტაცია/აბილიტაციის კურსის ჩასატარებლად ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსება;

• სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა;

•დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურში მოქმედებს მუდმივმოქმედი კომისია მოქალაქეთა სტაციონარული ან სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ან თანადაფინანსების შესახებ, რომელიც მუშაობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნულმა კომისიამ 2020 წლის განმავლობაში ჩაატარა 47 სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული დაპირება გაიცა 200 მოქალაქეზე და დასაფინანსებელმა თანხამ შეადგინა 72000 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარი. ზემოთხსენებული დადგენილების საფუძველზე სხვადასხვა კატეგორიის 800 ოჯახმა, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 150000 ან ნაკლებს, ზამთრის სეზონზე გათბობის უზრუნველყოფის მიზნით,ერთჯერადად მიიღო 100 ლარი, რამაც მთლიანობაში შეადგინა

80000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

• 2021 წლის განმავლობაში მოქმედი მინიციპალური სოციალური დახმარების პროგრამით, ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად, საერთო ჯამში დახმარება გაეწია 1553 ბენეფიციარს, რაზეც გაიხარჯა 388570 (სამასოთხმოცდარვა ათას ხუთასსამოცდაათი) ლარი.

•დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი უფასო კვების ობიექტის დასაფინანსებლად 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 275000 (ორას სამოცდა თხუთმეტი ათასი) ლარი, სადაც უმაღლესი ხარისხის საკვები პროდუქტებით იკვებება 200 მიუსაფარი და სოციალურად დაუცველი პირი.

•2021 წელს 7 ბენეფიციარზე მოვახდინეთ ინვალიდის ეტლის გადაცემა.

***

დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის ორგანიზაცია 2016 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მისიაა, დაეხმაროს უმწეო ადამიანებს საგანგებო შემთხვევებსა და სოციალურ -ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში. ამ წლების განმავლობაში გაზეთი პერმანენტულად აშუქებდა წითელი ჯვრის ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საქველმოქმედო თუ სამედიცინო მომსახურების აქციებს და ჩვენს მოსახლეობას წვდომა ჰქონდა მათ მუშაობაზე. წლის ბოლო დღეებში კიდევ ერთხელ ვეწვიეთ წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელს ნათელა თამაზაშვილს შემაჯამებელი ანგარიშის მოსასმენად: „მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია მუდამ გვერდში უდგას მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს და ჩვენი სათაო ოფისის, მუნიციპალიტეტის მერიის და სოციალური სამსახურის ერთობლივი მუშაობით სრულ მზადყოფნაში ვართ აღნიშნული ჯგუფების-მარტოხელა პენსიონერების, შშმპ, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასახმარებლად. თუმცა, გვაქვს ხოლმე საგანგებო, საგამონაკლისო შემთხვევებიც, როგორიც იყო, მაგალითად, ჩვენს მიერ განხორციელებული აქცია „ფრონტერას“თანამშრომლებისთვის.

მიმდინარე წელს ჩვენთან უფასო სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 1107 ჩვენს თანამოქალაქეს. გასულ წლებში ეს რიცხვი 5000-ს აღწევდა, თუმცა, პანდემიის გამო წელს შედარებით დაბალ ნიშნულზე ვართ. იმედია, როდესაც ცხოვრება კვლავ ჩვეულ რიტმში გაგრძელდება, წინა წლების მაჩვენებელსაც გავცდებით. საქართველოში მხოლოდ ჩვენ გვყავს ყველა პროფილის ექიმი და გამოკვლევა-ანალიზებიც შესაბამისად უტარდება თითოეულ ბენეფიციარს. ასევე წლის განმავლობაში ოთხჯერ განვახორციელეთ ჰუმანიტარული აქციები და საერთო ჯამში დავეხმარეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 505 ოჯახს - სასურსათო კალათით, ტანსაცმლით და სხვა საყოფაცხოვრებო საშუალებებით. ***დასასრულს, მინდა სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით თითოეულ დედოფლისწყაროელს შობა-ახალი წელი მივულოცო, ვუსურვო პანდემიის მალე დასრულება და სრულყოფილი ცხოვრების საფეხურზე გადასვლა.***

გვერდის მასალები მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

სპორტი

„სპორტი საზოგადოების მიკროკოსმოსია“

სპორტი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. გარდა იმისა, რომ იგი წარმოადგენს ჯანმრთელობის წინაპირობას, მას უამრავი სასიკეთო რამის მოტანა შეუძლია. „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ - ეს ფრაზა ყველასთვის კარგად არის ცნობილი. თუ ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს როგორც ჯანსაღი სხეული, ასევე სულიც, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და გავითავისოთ, რომ სპორტი ამისათვის პირველი საშუალებაა. ის ხშირად გვეხმარება მიზნის მიღწევაში. სპორტი ადამიანში უამრავ სასიკეთო ცვლილებას იწვევს. მაგალითად, აძლიერებს იმუნიტეტს, ანვითარებს ტვინის უჯრედებს და ა.შ. სპორტით თუა ადამიანი დაკავებული, ინტერესი არ ექნება ისეთი ჩვევებისა, როგორიცაა ალკოჰოლზე დამოკიდებულობა, სიგარეტი და რაღა თქმა უნდა, მავნე ნივთიერებები. სიჯანსაღე ხომ სულის სისუფთავეა, გულწრფელად კი ადამიანი იმ საქმეს აკეთებს, რომელიც უყვარს. სულიერ სიჯანსაღესთან ერთად ადამიანს ფიზიკური სიჯანსაღეც სჭირდება. სპორტი კი ის სფეროა, რომელიც ეხმარება ადამიანებს იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით.

დედოფლისწყაროელებისთვის სპორტი და მისდამი სიყვარული, არც უცხოა და არც გასაკვირი. ამის ნათელი და საამაყო მაგალითი ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაურია, რომელმაც 2021 წელი სპორტულ წლად აქცია არამარტო საკუთარი მუნიციპალიტეტის, არამედ მთლიანი ქვეყნისათვის. როგორ მიმდინარეობდა 2021 წელს სპორტული ცხოვრება დედოფლისწყაროში, როგორი მიღწევებითა და შედეგებით ასრულებენ სპორტული გუნდები წელს, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას დღეს ეს სფერო დედოფლისწყაროში - ამ და სხვა თემებზე ესაუბრა გაზეთ „შირაქს“ შემაჯამებელ ინტერვიუში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის დირექტორი აკაკი ნატროშვილი.

-ყველას მოგეხსენებათ რომ, პანდემიის პირობებში, დაახლოებით 7-8 თვე, ჩვენ გაჩერებულები ვიყავით. არ გვქონდა მასშტაბური ღონისძიებების გამართვის უფლება. გადაიდო ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა მაზიაშვილის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, კიკბოქსინგის საერთაშორისო ტურნირი, სადაც უცხოელი მონაწილეებიც გვყავს ხოლმე ყოველწლიურად, სპორტული ოლიმპიადები და სხვა... ამიტომ, ცოტა მწირია ჩვენი მონაგარი. რაც შეეხება წლის ბოლოს, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატები უშუ სანდასა და კიკბოქსინგში. ყოველწლიურად ამ ორივე სპორტში გვაქვს ძალიან დიდი წარმატებები. გიორგი ცისკარაულის მწვრთნელობით სხვადასხვა შეჯიბრებზე (საქართველოს ჩემპიონატი, შავი ზღვის თასი), უშუ სანდაში მოვიპოვეთ 50 მედალი, აქედან 33 პირველი ადგილია. რაც შეეხება კიკბოქსინგს თამაზ ყარაგვეზაშვილის მწვრთნელობით, დედოფლისწყაროს გუნდმა მოიპოვა 37 მედალი, აქედან 23 ოქრო, ხოლო ძალისმიერ სპორტში მიხეილ სეხნიაშვილის მწვრთნელობით მოვიპოვეთ 19 მედალი, აქედან 7 ოქრო. თელავსა და ლაგოდეხში გამართულ საფეხბურთო ორ ფესტივალზე კი გავედით მეოთხე ადგილზე. მიღწევების გვირგვინი კი იყო ჩვენი აღზრდილი ლაშა ბექაურის ოლიმპიური ჩემპიონობა (მწვრთნელი: კახა წიკლაური). ძიუდოსა და ჭიდაობაში პანდემიის გამო არ ტარდებოდა შეჯიბრებები, ამიტომ 20% ითაც კი ვერ მოვახერხეთ მონაწილეობა და ჩვენი შესაძლებლობების რეალიზება. დედოფლისწყაროში 2020-21 წლებში გართულებული კოვიდსიტუაციის გამო მოგვიწია ყველა ძირითადი სპორტული ღონისძიების გადაადება. სამწუხაროდ, პანდემიამ ძალიან დაგვაზარალა.

- რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას დღეს ეს სფერო დედოფლისწყაროში?

გარდა პანდემიური შეფერხებებისა, გვაქვს ინფრასტრუქტურული გამოწვევები და პრობლემები. არ გვაქვს თითოეული სპორტული სექციისთვის შესაბამისი სავარჯიშო სივრცე. დღემდე

კიკბოქსინგის ბავშვები ფრენბურთის მოედანზე ვარჯიშობენ. თუმცა, პრემიერ-მინისტრის დიდი ხელშეწყობით, გადაიდგა უდიდესი ნაბიჯი და არხილოსკალოში ეწყობა ძიუდოს დარბაზი. დამტკიცებულია და ჩადებულია ბიუჯეტში კიკბოქსინგისა და შერეული ორთაბრძოლების დარბაზის ამოქმედება. ბავშვები სხვადასხვა სექციებიდან, კერძო დარბაზებში ვარჯიშობენ, მათ უანგაროდ აქვთ დათმობილი სივრცე სავარჯიშოდ, ამისთვის კი განსაკუთრებული მადლობა დათო გონაშვილსა და ვაჟა ანდრიაშვილს. ასე გავდივართ იოლას. ჩვენთვის ფართის უქონლობა ყველაზე დიდი პრობლემაა.

პრობლემურ საკითხად მინდა გამოვყო ასევე სოფლებში სპორტული სექციების არ არსებობა. არის რიგი სოფლებისა, მაგ; საბათლო, ფიროსმანი, სამთაწყარო, მატოს ამ სოფლებში თითო სპორტული წრე მაინც. ბიუჯეტი იგივე დაგვრჩა - 300,000 ლარი, ამიტომ რამდენადაც მოგვეცემა ამის საშუალება, იმის მიხედვით მაქსიმალურად ვეცდებით სოფლებში ავამოქმედოთ სპორტული წრეები.

-იგეგმება თუ არა სპორტული სასკოლო ოლიმპიადების კვლავ მოწყობა?

რაც შეეხება სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებს, დაწყებული გვაქვს წინა, მოსამზადებელი ეტაპი. თითოეული სკოლის წარმომადგენელმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა ცენტრალურ სტადიონზე ჩატარებულ ტესტირებაში, თუმცა, სამწუხაროდ კვლავ ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ შეგვიშალა ხელი და ღონისძიება გასულ წელს ვეღარ ჩატარდა. ძალიან საინტერესოა მსგავსი შეჯიბრებები, სადაც ჩვენი ბავშვები საკმაოდ წარმატებით გამოდიან. ჩვენს სპორტდარბაზში იმართება მაგიდის ჩოგბურთი, სადაც გვაქვს ხოლმე საკმაოდ კარგი შედეგები...ყველა სკოლა თვითონ ირჩევს სპორტის იმ სახეობას, რომელშიც სურს, რომ მიიღოს მონაწილეობა: ეს იქნება კალათბურთი, ფრენბურთი, სირბილი, მინი-ფეხბურთი; ჩვენ ყველანაირად ვუწყობთ ხელს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მოტივაცია - ეს იქნება სპორტული ფორმები, ინვენტარი თუ პრიზები. იმედია, 2022 წელს განვახორციელებთ ამ გეგმას...

„იცით, რომელია თამაშის საყვარელი ნაწილი? თამაშის შესაძლებლობა.“

„სპორტი ემსახურება საზოგადოებას მიღწევების ნათელი მაგალითების ჩვენებით.“

„რაც უფრო რთულია გამარჯვება, მით მეტია გამარჯვების ბედნიერება.“ – ჰელე

„სპორტი საზოგადოების მიკროკოსმოსია.“



-2021 წლის მთავარ სპორტულ მოვლენაზე გკითხავთ...

2021 წლის მთავარ სპორტულ მოვლენად, რა თქმა უნდა, ლაშა ბექაურის ოლიმპიურ გამარჯვებას დავასახელებ. ამასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა რასაც ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით გამოვარჩევდი, არის დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 60,000 ევროს რაოდენობის გრანტი. ადმინისტრაციული შენობა, საშხაპეები მართლაც კარგად არის მოწყობილი, მაგრამ ამ დიდი მოედნის უკან არის პატარა ფართი, სადაც გვსურს მინი საფეხბურთო სივრცის მოწყობა. ტექნიკური სამუშაოები დავიწყეთ, მაგრამ ფინანსების სიმცირის გამო დროებით ეს პროცესი შეჩერებულია. მინი მოედანი აუცილებელია, რადგან ყოველწლიურად ჩვენი ბავშვები მონაწილეობენ მასტერ ლიგის ტურნირში, თანაც საკმაოდ წარმატებით. მაგალითად, გასულ შეჯიბრზე გავედით მე-4 ადგილზე. ამ მოედნის არსებობა დამწყები, პატარა სპორტსმენებისთვის იქნება საკმაოდ კარგი ხელისშემწყობი ფაქტორი მომავალი წარმატებებისთვის. იყო გარკვეული კითხვები დიდი მოედნის საფართან დაკავშირებითაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავიარეთ ეს საკითხი, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან, ასევე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ლევან კობიაშვილთანაც. მან პირადად იხილა არსებული მდგომარეობა და შეგვპირდა გარკეულ დახმარებას, მაგრამ რამდენადაც მცირე კონტიგენტი გვყავს და მოედნის საფარის რეაბილიტაცია, 700 00 ლარის ხარჯს ითხოვს, (იგივე მოთხოვნა ჰქონდათ ქუთაისის მუნიციპალიტეტსაც, სადაც გაცილებით დიდი კონტიგენტია) პრიორიტეტული ამჯერად ქუთაისის მოედნის რეაბილიტაცია გახდა. თუმცა, იმედი გვაქვს რომ მაინც შევძლებთ საფარის აღდგენას.

-რას გვეტყვით 2022 წლის სურვილებზე?

არამარტო სპორტულ სფეროს, არამედ მთელს საქართველოს ვუსურვებ წინსვლას, გამთლიანებას. თითოეული ქართველის ოცნება და ნატვრაა, რომ ჩვენი ქვეყანა ვნახოთ ფეხზე მყარად დამდგარი და ისეთი, როგორიც ჩვენ, ქართველებს გაგვიხარდება. ნამდვილად საამაყოა, რომ 2021 წელს ქართველმა სპორტსმენებმა სპორტის ყველა სფეროში გაუთქვეს სახელი ჩვენს ქვეყანას და წარმატებით იასპარეზეს მსოფლიოში. მეტი გულისხმიერება და ყურადღება სჭირდება სპორტს. სამწუხაროა,

/გაგრძელება გვ.7/

„სპორტი საზოგადოების მიკროკოსმოსია“

/დასაწყისი გვ.6/

მაგრამ ფაქტია, რომ დღეს თვითონ ბავშვები ვეღარ აკმაყოფილებენ სპორტულ სტანდარტებს, ვაწყდებით ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ძალიან ბევრ და საყურადღებო პრობლემას. მსოფლიოში თითქმის ბოლო ადგილზე ვართ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის კუთხით. ამას სჭირდება განსაკუთრებული და განსხვავებული მიდგომა/რეფორმები მთავრობის მხრიდან. თუ ბავშვი სპორტში არ არის, მას ძნელად უვითარდება გუნდურად და შეთანხმებულად მოქმედების უნარი. დღევანდელმა ბავშვებმა ნაკლებად ან საერთოდ არ იციან სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა, შუბის სროლა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რომელიც სკოლებიდან მოდის, იმიტომ, რომ სკოლებს დღეს არ აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა. იმედი მაქვს, რომ 2022 წელს დავამარცხებთ კოვიდს, რის შემდეგაც კვლავ განვაგრძობთ ვარჯიშს, ჩემპიონატებზე აქტიურ მონაწილეობას, სპორტსმენების დახმარებასა და ხელშეწყობას შესაბამისი ინვენტარით. იმედი გვაქვს 2022 წელს ისინი კვლავ გვასახელებენ.

* * *

გთავაზობთ იმ წარმატებების ჩამონათვალს, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულმა სხვადასხვა სპორტულმა გუნდმა მიაღწიეს:

ძიუდო – კახა წიკლაური

1. საქართველოს ჩემპიონატი- მე-4 ადგილი

2. ოლიმპიური ოქრო - ლაშა ბექაური

ფეხბურთი – ზურაბ ჩალაგაშვილი

1. თელავი- გია ამისულაშვილის სახელობის ტურნირი 2009-2010 წწ დაბადებულთა შორის - მე-4 ადგილი.

2. ბადრი სამარგველიანის სახელობის ტურნირი 2008-2009 წწ დაბადებულთა შორის მე-2 ადგილი.

უშუ – გიორგი ცისკარაული

1. თბილისის პირველობა - 7 ოქრო, 4 ვერცხლი

2. საქართველოს ჩემპიონატი შერეულ ორთაბრძოლებში - 2 ოქრო, 2 ვერცხლი

3. ქუთაისის პირველობა - 5 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო

4. საერთაშორისო ტურნირი შერეულ ორთაბრძოლებში - 7 ოქრო

5. ბათუმის საერთაშორისო ტურნირი უშუში - 2 ოქრო, 2 ვერცხლი

6. მსოფლიო ჩემპიონატი ხელჩართულ ბრძოლაში - ბრინჯაოს მედალი - ნიკა ჩიტიშვილი

7. საქართველოს ჩემპიონატი უშუში - 9 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო

8. შერეული ორთაბრძოლების ტურნირი „ახალი თაობაა“ - 1 პირველი ადგილი, 1 მესამე ადგილი

კიკბოქსინგი – თამაზ ყარაგვეზაშვილი

1. ქ.რუსთავი - რესპუბლიკური ტურნირი კიკბოქსინგში - 5 პირველი ადგილი

2. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი კრივში - 2 პირველი და 1 მესამე ადგილი

3. მარნეული, საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში - 3 პირველი ადგილი

4. სიღნაღი, რესპუბლიკური ტურნირი კიკბოქსინგში - 4 პირველი და 5 მეორე ადგილი

5. საქართველოს ჩემპიონატი - 5 პირველი, 3 მეორე და 4 მესამე ადგილი

6. თბილისის მერიის თასი კიკბოქსინგში - 6 ოქრო

ძალისმიერი სპორტი – მიხეილ სეხნიაშვილი

1. საქართველოს პირველობა წოლჟიმში - 4 ოქრო, 6 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

2. კავკასიის პირველობა ძალისმიერ სამჭიდში - 1 ოქრო

3. საქართველოს პირველობა ძალისმიერ სამჭიდში - 3 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.

2021 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებები:

- 6 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში „ევროპის სპორტის კვირეულის“ ფარგლებში ჩატარდა ტურნირი ფრენბურთში და „თეთრი ბარათის კამპანია“, სადაც ორმოცამდე მოზარდმა მიიღო მონაწილეობა.

- 15 მაისს ქ.დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა კახეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური,

2007-2008 წწ დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს, წნორის, ტიბაანის, გურჯაანის, საგარეჯოს და ძველი ანაგის საფეხბურთო გუნდები.

- 23 მაისი - სოფელ სამთაწყაროში გაიმართა მოსამზადებელი თამაშები ბადმინტონში, მზადება მიმდინარეობს 2022 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის.

- 23 მაისი - დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მოსამზადებელი ვარჯიშები გეზრბენში, მზადება მიმდინარეობს 2022 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის.

- 1 ივნისი - დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში გაიმართა მოსამზადებელი ვარჯიშები კალათბურთში. მზადება მიმდინარეობს 2022 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის.

- 2 ივნისი - დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში გაიმართა მოსამზადებელი ვარჯიშები მაგიდის ჩოგბურთში. მზადება მიმდინარეობს 2022 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის.

- 5 ივნისი - დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა რეგიონალური ფესტივალი ფეხბურთში.

- 6 ივნისი - დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მოსამზადებელი თამაშები ფეხბურთში. მზადება მიმდინარეობს 2022 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის.

- 19 დეკემბერი - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის სპორტდარბაზში გაიმართა სკოლებს შორის შეჯიბრება ფრენბურთში. შეჯიბრში დედოფლისწყაროს პირველი და მეორე სკოლის, ასევე ქვემო ქედისა და სამრეკლოს სკოლები მონაწილეობდნენ. ტურნირის გამარჯვებული გახდა პირველი საჯარო სკოლის გუნდი. ასევე გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. დედოფლისწყაროს ფრენბურთის ნაკრების მწვრთნელია აბო მეხრიშვილი. შეჯიბრს ესწრებოდა კახეთის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ილია ჯაფოშვილი, რომელმაც გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები დააჯილდოვა.

გაზეთი „შირაქი“ კვლავაც უამრავ წარმატებას უსურვებს დედოფლისწყაროს სპორტულ საზოგადოებას, 2022 წელი ყოფილიყოს წინსვლის, ყველა პროგლემისა თუ გამოწვევის დამარცხების წელი. გისურვებთ უშრეტ ენერგიას, ენთუზიაზმსა და გამარჯვების ჟინს, რომელიც კვლავ უმაღლეს კვარცხლბეკამდე მიგიყვანთ თითოეულ თქვენგანს. თქვენ ხომ, „საზოგადოების მიკროკოსმოსი ხართ“.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

ახალგაზრდობა - საზოგადოების ნათელი მომავალი

2021 წელი ახალგაზრდებისთვისაც რთული აღმოჩნდა. მიუხედავად პანდემიური პრობლემებისა, მათ შეძლეს და მაქსიმალურად ჩაერთვნენ სხვადასხვა ღონისძიებაში. მათ მიერ 2021 წელს ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებების ჩამონათველი კი ასე გამოიყურება:

*22 აპრილს დედამიწის დღე აღნიშნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრთან არსებულმა ახალგაზდობის ცენტრმა -„იბერია“-მ. მოსწავლეებმა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ოფისში დაათვალიერეს საინფორმაციო ცენტრი. გაეცნენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ საინტერესო ინფორმაციას. ისაუბრეს დედამიწის დღის დაარსების ისტორიას და მის მნიშვნელობაზე, ნახეს ცნობილი ბრიტანელი ტელეწამყვანისა და ნატურალისტის - დევიდ ატენბოროს ფილმი დედამიწის შესახებ. შემდეგ გადმოინაცვლეს პირველი საჯარო სკოლის წინ მდებარე წრესთან, რომელიც გაასუფთავეს ბალახებისაგან და დარგეს ყვავილები.

*23 აპრილს ახალგაზრდობის ცენტრში ლიგის წევრებმა მოაწყეს ფილმის ჩვენება და განხილვა.

*25 აპრილს ახალგაზრდობის ცენტრის - „იბერია“ ინიციატივით, ჩატარდა ესსეების კონკურსი სახელწოდებით „მე ვირჩევ“, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელებმა მიიღეს მონაწილეობა.

*26 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, „უფროსკლასელთა ლიგის“ ინიციატივით, დაიწყო მიტოვებული საფლავების დასუფთავება. პირველები აქციას შეუერთდნენ სოფელ ზემო მაჩხაანის ახალგაზრდები.

*27 აპრილს, ახალგაზრდობის ცენტრის -„იბერია“ ინიციატივას შეუერთდნენ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სააღდგომოდ დაასუფთავეს მოტოვებული საფლავები.

ახალგაზრდობის ცენტრში- „იბერია“ შედგა შედგა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ნახატების კონკურსში -„ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ გამარჯვებულთა დაჯილდოება. პირველი ადგილი დაიკავეს ნიკა სიჭინავამ და საბა ალ-ბაიათმა, მეორე ადგილი წილად ხვდა გიორგი კოჭლამაზაშვილს, მესამე კი - ელენე კოხტაშვილს. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები. კატეგორიაში „გამორჩეული ნამუშევარი“ სიგელებით დაჯილდოვდნენ ნატალი მადოიანი, მარიამ კვესაძე, ლიკა ჯინაშვილი, ცოტნე ჯანაშვილი და ანა ჯამასპიშვილი. ახალგაზრდობის ცენტრმა - „იბერია“ ყველა ნახატის ავტორს გადასცა სიგელი -„კონკურსში მონაწილეობისათვის“.

*1 ივნისს დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე, დედოფლისწყაროს მერიის, დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის და დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

*2 ივნისს დაიწყო ნინო კიკილაშვილის სახელობის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში - „რა? სად?როდის?“, რომელიც 3 ზონალური ტურისაგან შედგებოდა. პირველი ზონალური ტური 2 ივნისს, სოფელ არხილოსკალოს ლიტერატურულ კაფეში, ღია სივრცეში გაიმართა. მასში ქედების ზონის 4 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა მიიღეს მონაწილეობა. საპრიზო ადგილები დაიკავეს და, შესაბამისად, ფინალის საგზურები მოიპოვეს: სოფელ ზემო ქედის №1 და სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლების გუნდებმა. ჩემპიონატი რეგულარულად, ყოველ გაზაფხულზე ჩატარდება-ტრაგიკულად გარდაცვლილი ნინო კიკილაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ფინალში გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ნინოს სახელობის გარდამავალი თასი.

*3 ივნისს დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ზონალური, მეორე ტური ინტელექტუალური თამაშის - „რა?სად?როდის?“ ნინო კიკილაშვილის სახელობის გარდამავალ თასზე. ჩემპიონატში დედოფლისწყაროს, გამარჯვების, სამრეკლოს და ხორნაბუჯის საჯარო სკოლების 6 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში გავიდნენ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლების გუნდები.

*5 ივნისს დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში გაიმართა მოსამზადებელი ვარჯიშები ფრენბურთში, მზადება მიმდინარეობს 2022 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის.

*4 ივნისს, მირზაანში, მხატვარ ბელა ლობჯანიძის არტ-გალერეაში გაიმართა ინტელექტუალური თამაშის- რა/ სად? როდის?“ მესამე ზონალური ტური, რომელშიც არბოშიკისა და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლების ოთხმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, ფინალში ზ. მაჩხაანის საჯარო სკოლის ორი გუნდი გადავიდა.

*12 ივნისს დასრულდა ნინო კიკილაშვილის სახელობის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში- „რა? სად? როდის?“ 11 ივნისს გაიმართა დასკვნითი, ფინალური შეხვედრა, სადაც მუნიპალიტეტის საჯარო სკოლების ხუთი გუნდი მონაწილეობდა პირველი ადგილი და, შესაბამისად, ნინო კიკილაშვილის სახელობის გარდამავალი თასი წილად ხვდა სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის გუნდს. მეორე ადგილი ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, მესამე ადგილი კი ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის გუნდს ხვდა წილად. საუკეთესო მოაზროვნის ტიტული ჯაბა ჯამასპიშვილს მიენიჭა ზ.მაჩხაანის გუნდიდან და მასვე გადაეცა პრიზი ნინოს ოჯახისაგან. სამივე გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრებით. ნინო კიკილაშვილის ოჯახმა გამარჯვებულ გუნდს წიგნები გადასცა. შეხვედრაზე აგრეთვე დაჯილდოვდნენ ესსების კონკურსში შედარებით გამორჩეული თემების ავტორები: გვანცა ღვედაშვილი, ლანა მენთეშაშვილი და საბა წიკლაური.

*არბოშიკის ახალგაზრდული ცენტრის - „არბონავტები“-ს წევრებმა პატარა მეგობრებს ხალისიანი და სხვადასხვა აქტივობებით დატვირთული დღე აჩუქეს, სამწუხაროდ, სკოლაში შექმნილი კოვიდ მდგომარეობის გამო პირველ ივნისს ვერ მოხერხდა ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ მათ მოგვიანებით განახორციელეს ჩანაფიქრი.

მზია ქენქაძე-კობაიძე და 1977 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კლასელის

კოგა ალულიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახსა და ახლობლებს.

გაუმარჯოს ახალ წელს !

31 დეკემბერია. ზამთრის პირველი თვის და წლის ბოლო დღე. სონამ კალენდარს ნაღვლიანად შეხედა. დღეს უკვე ახალი წელია- ჩაიბურტყუნა და საფულე გახსნა. თვის შუა რიცხვებში აღებული პენსიის ნარჩენი გადაითვალა. ეცოტავა. ხელახლა დაიწყო ფულის თვლა. სულ 100 ლარიღა დარჩენოდა. არადა, ამ თვეში მაქსიმალურად ეკონომიურად დახარჯა ფული. წამლებიდან მხოლოდ წნევის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი აბები იყიდა, მარკეტსაც იშვიათად სტუმრობდა, მხოლოდ შაქარი, წიწიბურა, „ჰერკულესი“ და ჩაი - ეს იყო მისი ყოველდღიური მენიუს შემადგენელი ნაწილი. ზაფხულში რამდენიმე ქათამი სახლში ჯერ კიდევ ჰყავდა, მაგრამ მათი საკვები ბოლო დროს ძალიან გაძვირდა. ამიტომ მათთან გამომშვიდობება მოუწია.

ახალი წლის დახვედრის ტრადიცია მათ ოჯახში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მნიშვნელოვანი იყო. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი რომაა, ხომ გაგიგონიათ? სონამაც გადაწყვიტა, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღენიშნა ახალი წელი. თავისი მწირი ბიუჯეტით ახლომდებარე მარკეტს მიაშურა. მეზობლებმა უთხრეს, ახლახან გახსნილ მაღაზიას ფასდაკლებები აქვს და ბევრ პროდუქტს მისაღებ ფასად იყიდიო. სონაც მიადგა ნაქები მაღაზიის დახლებს.

პირველ რიგში ტკბილეულის სექციას მიაშურა. შოკოლადის ფასს რომ შეხედა, შეცბა. თავიდან ეგონა, ფასებს შეუიარაღებელი თვალით ვერ ვხედავო და სათვალე მოიმარჯვა. არა, აქ მხედველობა არაფერ შუაში იყო. მთელი მისი ბიუჯეტი მხოლოდ ტკბილეულს არ ეყოფოდა. მან გადაწყვიტა, ნუგბარის ყიდვა ბოლოსთვის მოეტოვებინა და მისმა გონებამ გაფილტვრა დაიწყო. რა უნდა ყოფილიყო საახალწლო სუფრაზე აუცილებლად? - რა თქმა უნდა, საცივი! სონა ხორცპროდუქტების სექციისკენ გაემართა, მაგრამ ფასებმა ის ამჯერადაც დააფრთხო. რას იზამდა - გამყიდველს ყველაზე მომცრო ზომის ქათამი ააწონინა და მოკრძალებით ნიგოზის ფასი იკითხა.

- ფასდაკლებით 1 კილოგრამი ნიგოზი 35 ლარის ნაცვლად 30 ლარი ღირს - იყო პასუხი.

გაოცებისგან სონას თვალები სულ უფრო უფართოვდებოდა. ერთი პირობა იფიქრა, სახლში ცოტა კაკალი მაქვს და იმას ვიმყოფინებო, მაგრამ გაახსენდა, რომ წელს კაკლის მოსავალმა არ გაუმართლა. შარშანდელი კი, გარდა იმისა, რომ ცოტა იყო, უკვე სიმწარეშეპარული გემოც დაჰკრავდა. მაღალი ფასის მიუხედავად ნახევარი კილო ნიგოზიც იყიდა. მერე გოზინაყის სულ რამდენიმე ნაჭერი შეიძინა და სახლისკენ გულდამძიმებული და ჯიბედაცარიელებული გამოემართა.

სიმწრით გადანახული პენსიიდან რამდენიმე გროშიღა დარჩენოდა. წინ ზამთრის ცივი და სუსხიანი დღეები იყო გადასაგორებელი. დარჩენილი ფული გათბობაშიც უნდა ჰყოფნოდა და ელემენტარულ საკვებშიც. მიუხედავად მძიმე რეალობისა, სონა მაინც ხალისიანად შეუდგა საახალწლო სამზადისს. ძველი გამოთქმა გონებაში ამოუტივტივდა-ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებო და ღიღინიც დაიწყო. გადანახული საცივის საანელებლებიც მოიმარჯვა, ქათამიც მოხარშა და ნიგოზიც გაატარა. მოკლედ, ახალი წლის მთავარი კერძი მზად იყო. მერე რა, თუ შოკოლადის შესაძენად მისი ბიუჯეტი უმწეო აღმოჩნდა, სამაგიეროდ თეფშზე კოხტად დაწყობილი გოზინაყის სამიოდე ნაჭერი ამაყად იწონებდა თავს და ახალი წლის შემობრძანებას მოუთმენლად ელოდა!

სონა არავის ელოდა, მხოლოდ ახალ წელს. უკვე რამდენიმე წელია, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სახლში მარტოდმარტო აცილებს ძველ წელს და ახალს ეგებება. წინა წლებში, ახალი წლის დადგომის შემდეგ, რამდენიმე მეზობელი მასთან სტუმრად მიდიოდა. მაგრამ წელს პანდემიური ახალი წელია. მეკვლესაც არ ელის. საათის ციფერბლატი თორმეტს მიუახლოვდა. მეზობელი სახლებიდან გაუშვეს ფოიერვერკები და სიხარულიანმა შეძახილებმა - გაუმარჯოს ახალ წელს! - დროებით გააფერმკრთალა სონას და მისნაირების ნაღვლიანი აწმყო.

გაუმარჯოს ახალ წელს!-გუგუნეგდა მთელი უბანი.

-თოვზინა მინდა, სოსკიანი თოვზინა მინდა!-გაისმა პატარა გოგონას გულსაკლავი ტირილი.

...ბედნიერი ხალხი კი იცინოდა და შამპანურს ღვრიდა...

ინგა შიოლაშვილი

რით დაგვამახსოვრა თავი 2021 წელმა?

2021 წელი არ იყო მხოლოდ კორონავირუსის პანდემიის წელი. ამ წელმა თავი კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენით დაგვამახსოვრა. გთავაზობთ, 2021 წლის მსოფლიოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

შტურმი კაპიტოლიუმზე

2020 წლის ნოემბერში დონალდ ტრამპი დამარცხდა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. ტრამპმა და მისმა მხარდამჭერებმა არჩევნებში მარცხი არ აღიარეს. სოციალურ ქსელებში მხარდამჭერთა ნაწილი შეთანხმდა, იერიში მიეტანათ კაპიტოლიუმის შენობაზე, რათა ხელი შეეშალათ პრეზიდენტად ჯო ბაიდენის დამტკიცებისთვის. 6 იანვარს 400-ზე მეტი ადამიანი შეიჭრა ამერიკის დემოკრატიის ციტადელში, კაპიტოლიუმის შენობაში. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გახდა შესაძლებელი შენობაში კონტროლის დამყარება.

ჯო ბაიდენი-აშშ-ის ახალი პრეზიდენტი

დონალდ ტრამპის მხარდამჭერების მიერ კაპიტოლიუმზე იერიშმა ხელი ვერ შეუშალა ჯო ბაიდენის პრეზიდენტად დამტკიცებას. აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია უსაფრთხოების გაძლიერებული ზომებით გაიმართა. 78 წლის ბაიდენი გახდა შეერთებული შტატების 46-ე პრეზიდენტი და პირველი ადამიანი, ვინც თანამდებობა დაიკავა ამ ასაკში.

ალექსეი ნავალნის საქმე

თითქმის ექვსი თვის განმავლობაში კრემლის კრიტიკოსი ალექსეი ნავალნი მკურნალობდა გერმანიაში მას შემდეგ, რაც რუსეთის სპეცსამსახური მისი "ნოვიჩოკით" მოწამვლას შეეცადა. 2021 წლის იანვარში ნავალნი დაბრუნდა მოსკოვში. ის აეროპორტშივე დააკავეს. მძაფრი საერთაშორისო კრიტიკისა და ზეწოლის მიუხედავად, ოპოზიციონერს 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მის მიერ დაარსებული ორგანიზაცია, "ანტიკორუფციული ფონდი", ექსტრემიზმის ბრალდებით დაიხურა. მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ალექსეი ნავალნის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

ინციდენტი სუეცის არხში

კონტეინერებით დატვირთული სავაჭრო ხომალდი Ever Given-მა გაიჭედა სუეცის არხის ყველაზე ვიწრო წერტილში და ექვსი დღის განმავლობაში დაბლოკა მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სანაოსნო არტერია. ბლოკადის შედეგად, წითელ ზღვაშ 400 გემისგან შემდგარი, გიგანტური საცობი შეიქმნა. ინციდენტის შედეგად ეკონომიკურმა ზარალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. საბოლოოდ, უზარმაზარი ძალისხმევის შემდეგ, სატვირთო ხომალდი ადგილიდან დაძრეს და სუეცის არხიც გაიხსნა.

განაჩენი შავკანიანის მკვლელობისთვის

მინეაპოლისის სასამართლომ ყოფილ პოლიციელს, დერეკ შოვინს აფროამერიკელ ჯორჯ ფლოიდის მკვლელობისთვის 22 წლითა და 5 თვით პატიმრობა მიუსაჯა. პოლიციელმა განაჩენი გაასაჩივრა. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ჯორჯ ფლოიდი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მისი დაკავებისას დერეკ შოვინმა ხრჩობის ილეთი გამოიყენა. მამაკაცი სთხოვდა, რომ გაეშვა, რადგან ვერ სუნთქავდა, თუმცა პოლიციელმა ყურადღება არ მიაქცია. ფლოიდი კლინიკაში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. 2020 წლის 25 მაისს 47 წლის ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე მასობრივი პროტესტი და არეულობები მოჰყვა. გარდა ამისა, ტრაგიკულმა შემთხვევამ ბიძგი მისცა მსოფლიოში ახალი საპროტესტო ტალღის, Black Lives Matters-ის წამოწყებას, რომელიც მიმართული რასიზმისა და პოლიციის ძალადობის წინააღდეგ.

კორონავირუსი ინდოეთში

აპრილში, ინდოეთში კორონავირუსის ეპიდემიამ მთელი ძალით იფეთქა. ინდოეთში აღმოჩენილმა კორონავირუსის ვერაგმა შტამმა "დელტამ" მთელი ქვეყანა მოიცვა. საავადმყოფოები დაავადებული პაციენტებით გადაივსო, შეიქმნა სამედიცინო აღჭურვილობის, ჟანგბადის ტოტალური დეფიციტი. დელის კრემატორიუმი ვერ აუდიოდა დაღუპულთა ცხედრების კრემაციას. ცხედრების ნაწილს ღია მინდორში წვავდნენ. ეპიდემიოლოგიური ვითარება შედარებით მხოლოდ ივნისში დასტაბილურდა.

ოლიმპიადა მაყურებლის გარეშე

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ტოკიოში 2020 წელს უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო ერთი წლით გადაიდო. 2021 წელს ოლიმპიადა მაინც ჩატარდა, მაგრამ სტადიონებზე მაყურებლის გარეშე, ცარიელი ტრიბუნებით.

ჟენევის სამიტი

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრა.

ქაბულის დაცემა

მას შემდეგ, რაც აშშ-ისა და კოალიციურმა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს, ძალაუფლება ხელში ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ, "თალიბანმა" ჩაიგდო. "თალიბანის" რეჟიმის მოსალოდნელი სისასტიკის გამო, ავღანელებმა მასიურად დაიწყეს სამშობლოდან გაქცევა. მოკლე დროში, ავღანეთი 100 000-მა ადამიანმა დატოვა. ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან მალევე, "თალიბანმა" მთავრობის ფორმირების შესახებ გამოაცხადა და პირობა დადო, რომ ქვეყანას შარიათის კანონის თანახმად უხელმძღვანელებს.

ვულკანის ამოფრქვევა ლა პალმაზე

19 სექტემბერს კანარის არქიპელაგში შემავალ კუნძულ ლა პალმაზე ვულკანმა ამოფრქვევა დაიწყო. ლავამ და ვულკანურმა ფერფლმა წალეკა კუნძულის დასახლება, რომელიც მთელი მსოფლიოს ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი იყო. სტიქიამ კუნძულს განუზომელი ეკონომიკური ზიანი მიაყენა. ესპანეთის ხელისუფლებამ ვულკანის ამოქმედებიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ, 25 სექტემერს გამოაცხადა ოფიციალურად ვულკანიდან ლავის ამოფრქვევის შეწყვეტა.

ანგელა მერკელის მმართველობის დასასრული

16-წლიანი მმართველობის შემდეგ, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თანამდებობა დატოვა. ევროპის უდიდესი ეკონომიკის მართვის განმავლობაში, მერკელი არაერთ საერთაშორისო კრიზისში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ანგელა მერკელი უმაღლესი სამხედრო პატივით გააცილეს. გაცილების ცერემონია (Der Große Zapfenstreich) მიჩნეულია სამოქალაქო პირის მიმართ გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ უმაღლესი პატივისცემის გამოხატულებად. ანგელა მერკელის შემდეგ, გერმანიის სათავეში მოვიდა კოალიციური მთავრობა სოციალ-დემოკრატებით, მწვანეებისა და თავისუფალი დემოკრატების შემადგენლობით. ფედერალურ მთავრობას სოციალ-დემოკრატი კანცლერი, ოლაფ შოლცი ჩაუდგა სათავეში.

მიგრანტების მოზღვავება ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე

ბელარუსის მხრიდან პოლონეთის საზღვარს მიაწყდა ათასობით ლტოლვილი, ძირითადად, ერაყიდან, სირიიდან და ავღანეთიდან. დასავლური მედიის ცნობით, მიგრანტები გახდნენ ევროკავშირის წინააღმდეგ ლუკაშენკას პოლიტიკური შანტაჟის მსხვერპლნი. პოლონელმა მესაზღვრეებმა მიგრანტებს ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცეს. მერკელთან სატელეფონო მოლაპარაკების შემდეგ ლუკაშენკამ მიგრანტები დროებით ცენტრებში მოათავსა და შემდეგ სახლში გაგზავნა. კრიზისი ჯერ არ არის სრულად მოგვარებული.

შანსი დედამიწის გადარჩენისთვის

გლობალური კლიმატის ცვლილება იყო გლაზგოს საერთაშორისო კონფერენციის ძირითადი საკითხი. დასკვნით დოკუმენტში კონფერენციის მონაწილეებმა გამოკვეთეს მთავარი მიზანი - თავიდან აიცილონ დედამიწაზე ტემპერატურის მატება 1,5 გრადუსზე მეტით პრეინდუსტრიულ პერიოდთან შედარებით და შეამცირონ ნახშირორჟანგის ემისია.

პანდემიის მსხვერპლთა ხსოვნა

2021 წელი, ისევე როგორც 2020, იყო კორონავირუსის პანდემიის წელი. კაცობრიობამ ჯერ ვერ მოახერხა კორონავირუსის დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ ვაქცინები შემუშავდა და ბევრი ადამიანიც აიცრა. ანტივაქსერული მოძრაობები ძირს უთხრიან გლობალური ვაქცინაციის კამპანიას. პანდემიამ, ოფიციალური მონაცემების თანახმად, 5.3 მილიონი ადამიანი შეიწირა.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 03.01		სამშაბათი 04.01		ოთხშაბათი 05.01		ხუთშაბათი 06.01		პარასკევი 07.01		შაბათი 08.01		კვირა 09.01	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
6 °	−5 °	5	−3 °	7 °	−3 °	9 °	−1 °	9 °	-3 °	4 °	-5 °	4 °	-5 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი); .
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.